წლიწადი პირველი. № 5. ფასი 10 კაპ. კვირა, 12 აპრილი 1909 წ.

# იალქანი

ყოველკვირეული სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციის დროებითი ადრესი: Тифлисъ, Елисаветинская ул. № 17. Типографія М. Д. Кикнадзе.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе, Елисаветинская ул. № 17.

1195



საიდუმლო საუბარი.

**შინაარსი:** ოსმალეთში. — ადგილობრივი პრესსა. — უტოპისტები და მარქსის მოძღვრება, ივ. გომართელისა.—სამშობლოს, (ლექსი) ზომლეთელისა.—ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა ისტორიიდან. — ჩემი ალსარება (ლექსი), თუროდოსპირელისა. — შალვა (მოთხრობა), რემონიძისა. — ანდრეა კოსტას ვიცე-პრეზიდენტათ არჩევა. — წერილი ამერიკიდან. — შინაური ამბები. — რუსეთის ცხოვრება. — უცხოეთი (ოსმალეთი, სპარსეთი). — პროვინცია.

## ოსმალეთის საქმეების გამო.

**თფილისი, 12 აპრილი.**

როდესაც ამ ორგანოს მეორე ნომერში ბალკანეთის საქმეების გამო გაკვრით შევეხეთ ოსმალეთს, ჩვენ ვწერდით: „ნაციათა სახელმწიფო, რომლის პარლამენტში ხელმძღვანელ პარტიის აღშფოთებას იწვევს სიტყვა „დეცენტრალიზაცია“, ასეთი სახელმწიფო არ არის, არ შეიძლება იყოს კატასტროფებისაგან უზრუნველ ყოფილი“. ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ არ-გასულა ათიოდე დღე, რომ ოსმალეთში უკვე იქცა კატასტროფამ... 31 მარტს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება გათავებულათ ჯერ კიდევ არ ჩაითვლება; იგი დიდ პოლიტიკურ მოვლენათა წინამორბედია.

რა ადგილი უჭირავს ამ გადატრიალებაში ჩვენ მიერ წინასწარ აღნიშნულ მიზეზს, რამ გამოიწვია ოსმალეთის არეულობა?

ჩვენ ხელთ არა გვაქვს სრული და სწორი ცნობები, ამიტომ ძნელია საბოლოვო მსჯავრის დადება. მაგრამ მოსული დეპეშებითა და საგაზეთო ცნობებით მაინც ირკვევა საქმის საერთო მოხაზულობა. ეჭვი არ არის, რომ აჯანყებას სათავეში სდგომია სულთანის სასახლე და იქ დაბუდებული კამარილა, ძველი რეჟიმის ქურუმნი. სხვათა შორის, გაზეთები იტყობინებიან, რომ ხაჯებმა, რომლებიც სალდათებს აღელვებდენ ასაჯანყებლათ, სულთანის სასახლიდან ჯილდოთ მიიღეს 10.000 ოსმალური გირვანქა და რომ ამავე მიზნისთვის, ბრბოს მოსასყიდათ, მილიონამდე აქვთ გადადებულიო... ახალგაზდა ოსმალთა პარტიის მიმდევარი მთავრობა გადაყენებულია, მაგრამ აჯანყებულთაგან მოვლენილი მთავრობაც კვლავ კონსტიტუციონურ კილოზე ლაპარაკობს; ახმედ-რიზას მაგიერათაც პალატის თავმჯდომარეთ არჩეულია ლიბერალურ სამღვდელოების წარმომადგენელი, რომელიც ახალგაზდა ოსმალთ უჭერს მხარს. არხარები მოუწოდებენ ყველა პროგრესიულ პარტიებს მჭიდროთ შემოკრბენ საერთო განსაცდელის, საერთო მტრის წინააღმდეგ და კონსტიტუციის დასაცავათ. თვით „მუსულმანური ლიგა“, რომელიც შარიატის სახელით აჯანყებას ხელ-მძღვანელობდა, ეხლა ლიბერალურ სამღდელოებას უერთდება, კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცსა სდებს და აღშფოთებით ლაპარაკობს ძველი რეჟიმის საშინელ ებაზე. ამ რიგათ, აშკარავდება, რომ სულთანი განმარტოებულია, ძველი რეჟიმის კონტრ-რევოლიუციონური ძალა სრულიად უძლურია და ფუქსავატი. მაშ როგორ-ღა მოხდა 31 მარტის სახელმწიფო გადატრიალება?

ძველი რეჟიმის ქვემძრომთ ძალა და გამბედაობა მისცა მხოლოდ მემარცხენე და პროგრესიულ ნაციონალურ ბანაკთა იმ მწვავე უკმაყოფილების ატმოსფერამ, რომელშიც გამოეხვია ახალგაზდა ოსმალთა პარტია. ამ უკანასკნელს შეუფერებლათ მემარჯვენე კურსი ეჭირა და იგი ერთობ აბუჩათ იგდებდა დაჩაგრულ ნაციათა სამართლიან მოთხოვნებს. პრემიერ-მინისტრი ხავერდის ხელთათმანსაც აღარ იცვამდა რკინის ხელზე. მან ცირკულიარებით ოფიცრობას აუკრძალა საზოგადოებათა შედგენა, პოლიტიკაში გარევა, მიტინგზე დასწრება, სიტყვების წარმოთქვა, პრესაში მონაწილეობის მიღება. როცა საზღვაო საზოგადოების „მახსუსეს“ მოხელე-მოსამსახურეებმა ქუჩაში დემონსტრაცია მოახდინეს, მან კავალერია გაგზავნა და იარაღით გაარეკინა ხალხი, რომელიც უკვე თავის ნებით მიდიოდა თავ-თავის სახლებში. ახალგაზდა ოსმალთა ოფიციოზი „ტანინი“ მხურვალე კამპანიას ეწეოდა იმის შესახებ, რომ სკოლებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკასო, რომ პრესსა ბოროტმოქმედობსო და სხ. ერთი სიტყვით, ახალგაზდა ოსმალნი ბოლოს და ბოლოს ადგებოდენ ჩვენ მიერ ნაცნობ პოლიტიკურ „აფორიზმს“: „ჯერ დაწყნარება და მერე რეფორმებიო“. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ახალგაზდა ოსმალნი არ სცნობდენ სახელმწიფოში არავითარ ნაციას გარდა ერთ „ოტომანის ნაციისა“. გაიხსენეთ, რომ „ახრარების“ პარტია, რომელიც მწვავეთ ეკვეთა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს, საბახ-ედინის დეცენტრალიზაციის ყოფილი პარტიაა...

მართალია, როგორც დეპეშებიდან სჩანს, საერთო განსაცდელში ყველა პროგრესიულ ორგანიზაციებმა გონივრულათ ერთმანეთს ხელი მისცეს, ერთათ უმკლავდებიან ძველი რეჟიმის ბნელ ძალებს და მხნეთ იცავენ კონსტიტუციას, შეიძლება არეულობა სრულიად ჩაქრეს. მაგრამ ეს ვერ იქნება ხანგრძლივი, ქვეყანა ვერ ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, თუ პარამენტის ხელმძღვანელი პარტია და მთავრობა არ მოიშლის ერთ ადგილაზე ტკეპნას, თუ იგი მტკიცეთ არ შედგება ფართო დემოკრატიულ რეფორმების გზაზე და სახელმწიფოს კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში არ განახორციელებს დეცენტრალიზაციას — ავტონომიას.

# ადგილობრივი პრესსა

**„ივერია“.**

მიმდინარე წლის დამდეგს, როგორც იცით, ქართულ პრესსას შეემატა ერთი **ახალი** ორგანო, რომლის სახელია „ივერია“. ამ გაზეთის ახალ ორგანოთ მოხსენიება, ცოტა არ იყოს, განმარტებას ითხოვს.

„ივერია“ ერთი უძველესი ფირმაა; იგი ერთი უხუცესი ორგანოა ჩვენს პრესსაში. მას ბევრი კარგიც უნახავს და ავიც. მის ისტორიაში უეჭველათ მოიპოვება „სახელოვანი“ ფურცლები; იყო დრო, როცა იგი ჰმეთაურობდა მთელ საზოგადოებრივ მიმდინარეობას. მას ახსოვს თავის ძალ-ღონის და მოქმედების გადაფურჩქვნა-აყვავების ხანა, ისე როგორც დაცემა, დაუძლურება და ბოლოს სიკვდილი, შემდეგ ისევ მკვდრეთით აღდგომა განახლებულის სახით. მაგრამ მთელ თავის ხანგრძლივ არსებობის განმავლობაში, გარდა მცირე მომენტებისა, არსებითად მას არ უღალატნია თავის მემარჯვენე მიმართულებისათვის და თვით დაუძლურების პერიოდში მას კარგა ხანს სულს უბრუნებდა დიდებული კაცის გრილო. მხოლოდ, როცა ჩამოჰკრა განმათავისუფლებელ მოძრაობის საათმა, „ივერიამაც“ ხარკი მიუძღვნა დროებას და აშკარა რადიკალურ კილოზე მოიმართა. მის ფურცლებზე სისტემატიურათ ადგილს პოულობდენ წმინდა დემოკრატიული და სოციალისტური წერილები. მაგრამ ამ ჭეშმარიტათ განახლებულ „ივერიამ“ სული განუტევა ქვეყნის „განახლების“ პირველსავე დღეებში. და აი იგი ეხლა კვლავ გვევლინება ამ შავ-ბნელ ხანაში. რას უნდა მოასწავებდეს მოვლინება ესე?

დღევანდელი „ივერია“ პირდაპირი რეაქციაა „მოძრაობის“ დროინდელ „ივერიისა“. იგი ისწრაფის რადიკალურათ გასწმინდოს თავისი ფირმა ყველა იმ დემოკრატიულ და სოციალისტურ „ცოდვებისაგან“, რითაც უნებლიეთ დაიტვირთა განმათავისუფლებელ

მოძრაობის ხანაში. იგი ესწრაფის აღადგინოს თვისი „ძველი, დიდებული ტრადიციები“ და რომ უფრო მარჯვეთ შეასრულოს ეს მისია, იგი ცდილობს ანგარიში გაუწიოს თანამედროვე ვითარებას, მოიკაზმოს თანამედროვე სამოსელით. იგი ბეჯითად აფრიალებს რაღაც ბაირაღს, რასაც ფერად საღებავით ზედ აწერს: **„ნაციონალურ—დემოკრატიული“**.

გაზეთი თავის მრწამსათ აღიარებს „ნაციონალურ იდეალს“ და თავის მოქმედების ქვა-კუთხედათაც ნაციონალურ საკითხს აცხადებს. მიუხედავათ ამისა, იგი დღემდის ამ საკითხს არსებითად არც კი შეხებია; თითქმის ყველა ნომერში გვპირდება მხოლოდ ამის გარკვევას და ფართო ეროვნულ პროგრამის გამოტანას. მაგრამ ყველა ის, რაც უკვე ითქვა მის ფურცლებზე, უკვე აშკარათ ნათელჰყოფს თუ როგორია „ივერიის“ ჯენტლემენების ნაციონალური პოლიტიკა და ნაციონალურ საკითხის გაგება.

„ივერია“ ნაციონალურ მიმდინარეობას სასტიკათ უპირდაპირებს ინტერნაციონალურს და აღიარებს, რომ პირველი მეორის სრული უარმყოფელია. იგი აცხადებს, რომ ეროვნულ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს სოციალურ პრობლემებს. იგი სწერს: „ვერც სოციალისტობა, ვერც მუშათა კლასსის იდეალები, ვერც პროლეტარიატის ხსენება ამ საქმეს (ეროვნულს) ვერ არგებს და ჩვენს ეროვნულ შევიწროვებას ვერ მოსპობს. როდესაც ციება მაწუხებს, ციების წამალი უნდა დავლიო, ხელი თუ გავიჭერ, შესაფერი წამალი არის საჭირო და სხ.“ (№ 12). მერე როგორი წამალი არის საჭირო ეროვნული სატკივარებისათვის?.

„ივერია“ გვასწავლის:

ჩვენს პოლიტიკურ და კულტურულ ბრძოლაში არ უნდა დავივიწყოთ ხოლმე, რა თვალით შეჰხედავს ჩვენს ყოველ სამართლიან და გულიდან ამოკვნესილ მოთხოვნას რუსობის უმეტესობა... წმინდის გულით მისკენ მიმავალს რას გვეტყვის და ჩვენს სურვილებს რამდენად აგვისრულებს... არ უნდა დავივიწყოთ, რადგანაც ამის დავიწყება ძირს უთხრის ჩვენს ეროვნულ არსებობას და ჩვენს ყოველ მოთხოვნას წინდაწინვე სამარეს უმზადებს.

მაგრამ — იტყვის მკითხველი — ეს ხომ ძველი, ნაცნობი სიმღერაა ჩვენი „მამებისა“, რომელნიც ბეჯითათ გვიმტკიცებდენ: თუ გინდათ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ვეღირსოთ, იქ, „სადაც ჯერ არს“ მუხლის თავები ჩოქვით უნდა გადაიტყავოთო. დიახ, „ივერია“ ძველი ტრადიციების აღდგენას ცდილობს, მაგრამ რაკი ამასთანავე არ ივიწყებს ჩვენი თაობის შეცვლილ გემოვნებას, იგი ზემოთ მოყვანილ ციტატას დასძენს სხვა სტრიქონებს, სადაც გამოთქმულია ბრძოლის საჭიროება ეროვნულ მისწრაფებათა მისაღწევათ. ეს ბრძოლა გაზეთს, რასაკვირველია, თავისებურათ ესმის:

ეროვნულ თავისუფლების ტრფიალი ეროვნულ ბრძოლას ჰქმნის და ამ ბრძოლაში ორ დიდ მოწინააღმდეგე ბანაკად ჰყოფს რუსეთს.

ეროვნულ თანასწორობის ტრფიალი ჩვენ ბუნებრივ მოკავშირედ ხდის ყველა არა რუს ეროვნებას რუსეთში და ყველა ამ ეროვნებას ერთ მოწინააღმდეგეს უსახავს — რუსობას, იმ რუსობას, რომელიც სხვის ეროვნულ დაჩაგვრით ცდილობს გაბატონებას სახელმწიფოში.“ (№ 11).

როგორცა ჰხედავთ, აქ მებრძოლნი ერთობ „მამაპაპურ“ გეგმაზე არიან დაბანაკებულნი; ცალ მხარეზე დგანან ყველა არა რუსნი, მეორეზე კი — რუსობა... ჩვენ კი გვეგონა, რომ ეროვნულ მჩაგვრელობას აწარმოებს არა ესა თუ ის ეროვნება, როგორც ერთი მთელი, არამედ ამ ეროვნების მხოლოდ ერთი ნაწილი, სახელდობრ გაბატონებული კლასები, ვისაც ხელთ უპყრია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავე. ამ გარემოებას „ივერია“ მზრუნველობით ხელს აფარებს და ირწმუნება:

ამ ბრძოლას პოლიტიკასთან არც ისეთი მჭიდრო კავშირი აქვს, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ეს ბრძოლა მთავრობას მტრათ არ ისახავს...

მთავრობა ამ ბრძოლაში განზე უნდა იდგეს და არც ერთ მხარეს არ უნდა მიემხროს.“ (იქვე).

ნამდვილათ კი დღეს ნაციონალური საკითხი არ არსებობს პოლიტის გარეშე. მთავრობა არ უნდა ერეოდეს ეროვნებათა ბრძოლაშიო, ეს კარგი სურვილია, მაგრამ დღეს სრულიად ფანტასტიურია. მოგეხსენებათ, რომ მთავრობა აღმასრულებელი ორგანოა. როდესაც სახელმწიფოს კანონები ერთ ეროვნებას არიჭებს ბატონობას და მეორეს კი მონობის უღელს ადგამს, მთავრობას არ შეუძლიან დადგეს განზე, ბრძოლის გარეშე, პირიქით იგი ვალდებულია ანხორციელებდეს ეროვნულ მჩაგვრელობას. მთავრობას მხოლოდ მაშინ შეეძლება ეროვნულ ბრძოლის გარეშე დადგეს, როცა ეროვნული თანასწორობა უკვე ფაქტი იქნება, როცა ეროვნული საკითხი უკვე გადაჭრილი გვექნება. მაშინ სახელმწიფოში ხომ აღარც ეროვნული ბრძოლა იქნება საჭირო, და თვით „ივერიის“ მებრძოლი ბანაკები თავის თავად უაზრო გახდება.

„ივერია“ კი ცდილობს დაგვაჯეროს, რომ მას ბრძოლისათვის გული უხურს და იგი უფრო ზედ მიწევნითაც გვაცნობს თავის საომარ კომპანიას. მთელი ქართველობა — გვასწავლის იგი — ყველა პარტიები და კლასები, გლეხობა, პროლეტარიატი, ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა ერთ ბანაკათ უნდა შევერთდეთ ნაციონალურ იდეალის განსახორციელებლათო. და მერე ამ კლასებს რომ თავ-თავისი მისწრაფებანი აქვთ? ეგ არაფერია, იოლას წავალთო, გვარწმუნებს გაზეთი: თავის გუნებაში დაე ყველამ ისეთი იდეალები და მისწრაფებანი იქონიოს, როგორც კი მოესურვება, ხოლო პრაქტიკაზე, პოლიტიკურ ბრძოლაში ყველა პარტიები ერთსა და იმავე ეროვნულ საქმეს უნდა ვაკეთებდეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებით ეროვნულათაც და კლასიურათაცო. ამას იგი მაგალითებითაც გვიმტკიცებს:

,,ავილოთ მიწის საკითხი: უკიდურესი მემარცხენე და ბურჟუაც ჩვენში თანასწორად ადგია იმ აზრს, რომ გლეხს მიწა სჭირია, მაგრამ‘‘...

(მაგარი ის გახლავთ, რომ)

ადგილობრივი პარტიები ერთმანეთს დაეტაკნენ, ადგილობრივი გლეხი გადაემტერა ადგილობრივ მემამულეს, ამით ისარგებლა გარეშე ძალამ და გარედან მოსულ რუს გლეხობისათვის მიწების ხელში ჩაგდება დაიწყო.‘‘ (№ 12)

და ამ რიგათ ჩვენებური გლეხი „პუპლუც!“, დარჩა ცარიელზე.

ავილოთ სხვა მაგალათი, — მუშათა საკითხი, აქაც არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც მუშებისათვის მათი მდგომარეობის გაუმჯობესება შურდეს, მაგრამ ...,— სურვილი არ კმაროდა, საჭირო იყო ცვლილების შემოსატანად გარეშე პირობები, — ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება, ვაჭრობა-მრეწველობაში მეტი მოგების შემოტანა, რომ ამ მეტი მოგების ერთი ნაწილი მუშებსაც რგებოდათ.

ამ გზაზე დადგომა არ ისურვეს ჩვენებურებმა, ადგილობრივი მუშა დაეტაკა ადგილობრივ მწარმოებელს, მას ისეთი მოთხოვნები წამოუყენა‘‘... და სხ

დანარჩენს ადვილათ მიხვდებით:

,,ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისი, უმუშევართა რიცხვის ზრდა, ადგილობრივ მუშებ-საგან ადგილების დაკარგვა, — გარეშე ელემენტის გაძლიერება, გარედან შემოსულ მუშების ჩაყენება საქმეში, გარედან საქონლის შემოტანა, — ჩვენი უბედუბრება და სხვისი სიხარული‘‘. (იქვე).

აქედან „მორალი“ აშკარაა: მუშა ხალხისა და ბურჟუაზის თვით ეკონომიური ინტერესებიც არ ეწინაალმდეგებიან ერთმანეთს, იმიტომ იგინი ყველა საქმეში ძმურათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა მიდიოდენ.

აი ამ კლასიურ ინტერესთა ჰარმონიას გვიქადაგებს „ივერია“ ეროვნულ იდეალების სახელით და ისიც დღეს, როცა თვით უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში მუშა ხალხი კლასიურ ორგანიზაციებათ ირაზმება. და რომ მსმენელი და წამკითხველი იშოვოს ხალხის მასაში, რასაკვირველია, უმალ უკიდურესი მემარცხენე პარტიები უნდა დაამციროს და მოსთხაროს ძირიანათ. მან თავიდანვე სწორეთ აქეთკენ მიმართა თვისი ყურადღება. იგი პირველ ნომერშივე სწერდა, რომ არ ეკედლება არც ერთ მათგანს, რადგან „რევოლიუციის დროს... ქართველი ერი ამ პარტიებისაგან ნაჩვენებ გზას დაადგა და ბოლოს რეაქციის ხრამში ჩავარდა. ....პოლიტიკურ პარტიების პროპაგანდამ გახრწნა ხალხი და სხ.“ ყველაზე მეტათ კი იგი, რა თქმა უნდა, ამხედრებულია სოციალ-დემოკრატების წინაალმდეგ:

რადგანაც მათ ხალხის ნამდვილ ინტერესების გაგება არა აქვთ და რადგან მათი მოღვაწეობა დღეს დღეობით ხალხისთვის მეტად სახიფათო და მავნებელია.

მავნებელია იმიტომ, რომ ჩვენებურ ს.-დემოკრატების პროგრამა და სამოქმედო ტაქტიკა სრულებით არ შეეფერება ცხოვრების ახლანდელ პირობებს.‘‘

იმის გასაგებათ, თუ რამდენათ მართებულათ იქცევა გაზეთი მემარცხენეთა წინაალმდეგ ბრძოლაში, საკმაოა გადაათვალიეროთ მისი მეთაური უკანასკნელ ნომერში. იგი, სხვათაშორის, სწერს: „პოლონებისათვის დღეს ჩხეიძე — გეგეჭკორი სწორეთ ძალად გარუსების მომხრენი არიან“. ეს ისეთი სიყალბეა, რომელიც არავითარ კომენტარიებს არ საჭიროებს.

იქვე გაზეთი ს. დ. ფრაქციის მოტივს, რისთვისაც მან უარჰყო იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა, ასე გადმოგვცემს:

მას შემდეგ, რაც იუ’ტიციის მი[ი]სტრმა თავის სიტყვაში პოლონელები შეურაცხჰყო, აღარ შეგვეძლო მისი ხარჯთ აღრიცხვა მიგვეღო, ამ ხარჯთ-აღრიცხვის უარყოფით გვინდოდა პროტესტი გამოგვეცხადებია მინისტრისათვისო...

გამოდის რომ თუ მინისტრი პოლონელებს ასე უდივრათ არ მოექცეოდა ანუ კომპლიმენტებს ეტყოდა, მაშინ სოც. დემ. ფრაქცია მის ხარჯთ-აღრიცხვას უეჭველათ დაამტკიცებდა... აშკარაა „ივერიას“ სოც. დემოკრატიულ ტაქტიკისა სრულიად არაფერი არ გაეგება, და ვერც გაიგებს. რადვან ბიუჯეტის უარყოფა მას მიაჩნია „პროტესტ-ბუტიაობათ“, „უგუნურ, ჭირვეულ ბავშობათ“. ყველას კარგათ მოეხსენება, რომ თვით დასავლეთის კონსტიტუციონურ ქვეყნებში სოც. დემოკრატია ბურჟუაზიულ მთავრობათა ბიუჯეტს შავ კენჭს აძლევს ხოლმე; გარნა ისეთ პირობებში, როგორშიაც მოქმედ ბა უხდება რუსეთის ს. დ. ს, მთავრობის ბიუჯეტს უარჰყოფდა თვით ბურჟუაზიაც, რომელიც იბრძოდა იმ კონტიტუციისათვის, რომლის წინაშე „ივერია“ ეტყობა პატივისცემით ქედს იხრის.

ნამდვილათ კი „ივერიას“ პოლიტიკურ თავისუფლებისა და „ეროვნულ იდეალებისათვის“ ბრძოლა მხოლოდ იმდენათ აინტერესებს, რამდენადაც ეს გამოადგება უკიდურეს მემარცხენეთა პარტიების ასალაგმავათ. შეიძლება იგი საუკეთესო განზრახვებითა დ გრძნობებით იყოს გამსჭვალული, მაგრამ **საქმით კი** მისი ნაციონალური პოლიტიკა ემსახურება მუშა ხალხის გზა-კვალის აბნევას, კლასიურ თვით-შეგნების ჩახშობას, რათა ამ რიგათ იგი მშრომელი ხალხი, ადვილათ საკრეჭ-საყვლეფი იყოს ყველა ჯურის და მოდგმის ბატონებისათვის.

აი ასეთია „ივერიის“ სამოქმედო პროგრამის ის ნაწილი, რომელსაც აწერია „ნაციონალური“. ხოლო რა უნდა იყოს მისი მეორე ნაწილი „დემოკრატიული“, ეს მკითხველისათვის უკვე თავისთავადაც ნათელი უნდა იყოს ყველა ზემოთ ნათქვამის შემდეგ. გაზეთი ერთ ადგილის პირდაპირ აცხადებს:

სოციალურ იდეებით გატაცება თავის თავად რასაკვირველია დასაწუნია არ არის, მაგრამ ეს გატაცება ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერისთვის გადაგვარებას მოასწავებს და მას სამარეს უთხრის.» (№ 14).

მოგეხსენებათ, რომ დემოკრატია, რომელსაც არ ასულდგმულებს არავითარი სოციალური იდეები და მისწრაფებანი, ასეთი დემოკრატია ფუყეა და უშინაარსო. ან კი რა უფლებით შეუძლიან დემოკრატობაზე ილაპარაკოს ისეთმა ორგანომ, რომელიც დღევანდელ პირობებში ჯვაროსნულ ომს უცხადებს მემარცხენე პარტიებს და „ივერია“ რომ ერთობ გაიტაცა ამ ბრძო-

ლამ, ამას კარგათ ჰმოწმობს ის ინციდენტი, როცა მემარცხენეთა ბანაკში „ივერიისადმი“ წარმოითქვა სიტყვა „პროვოკაცია“, „პოლიტიკური დაბეზღება“ რის პასუხათ მან ის და მოახერხა, რომ განაცხადა: აზეფი თქვენ ბანაკში იყოვო... მაგრამ, passons, თავი დავანებოთ.

—〰〰〰—

# უტოპისტები და მარქსის მოძღვრება

## III.

ჩვენ განვიხილეთ სენსიმონის ცხოვრება. გარდა სრული სამართლიანობისა და დაჩაგრულ და ღარიბი ხალხისადმი უზომო სიყვარულისა მის გულში არავითარ სიბოროტეს ალაგი არა ჰქონდა. მას სწამდა ადამიანის სიკეთე და პატიოსნება; ის ყველას უზომოთ ენდობოდა. მისი გულკეთილობით ბევრმა ისარგებლა და გაფცქვნა, როცა მას შეძლება ჰქონდა. როდესაც მას პურის ფულიც აღარა ჰქონდა ხოლმე, ბევრჯერ სთხოვა სხვებს დახმარება, რამდენჯერმე მისწერა წერილი იმ სწავლულებსა და გამოჩენილ პირებს, რომლებსაც არა ერთხელ გაეტარებიათ დრო იმის სახლში: შიმშილითა ვკვდები და ამ მდგომარეობიდან გამომიხსენითო, მაგრამ ხმაც არავინ გასცა.. ქუჩაში მას თვალს არიდებდენ, მაგრამ სენსიმონი მაინც არა ჰკიცხავდა მათ.

რაში მდგომარეობს სენსიმონის მოძღვრება და მნიშვნელობა? სენსიმონს გამოუკვლეველი არ დაუტოვებია საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი დარგი. იმისმა ძლიერმა ნიჭმა ყველგან ღრმა კვალი დატოვა, მაგრამ მე აქ შევეხები მისი მოძღვრების მხოლოთ ერთ მხარეს — სოციალისტურს.

სენსიმონის აზრით საზოგადოებრივ ცხოვრებას ორი მხარე აქვს: სულიერი და მატერიალური ანუ გონებრივი და ქონებრივი. ცხოვრების განვითარებას იწვევს ორი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ძალა: გონებრივი და ქონებრივი. ეგრეთ წოდებული პროგრესი დამყარებულია როგორც ცოდნის დაგროვებაზე, ისე ქონების ზრდაზე, ე. ი. გონებრივი და ეკონომიური პირობები ერთათ აუმჯობესებენ კაცობრიობის ცხოვრებას. კაცობრიობამ ისტორიულს გზაზე სენსიმონის შეხედულებით რამდენიმე ხანა გაიარა; დღეს კი არის ხანა მრეწველობისა. ამ ხანაში საზოგადოება განიყოფება სამ კლასათ. პირველ კლასს შეადგენენ გონებრივი განვითარების მებაირაღტრენი — მეცნიერები, სწავლულები, საზოგადო მოღვაწენი, მწერლები ანუ დღევანდელს ენაზე ინტელიგენცია. მეორე კლასს შეადგენენ თავად-აზნაურობა, ბიუროკრატები და მდიდრები. მესამეს შეადგენენ ყველა მრეწველები. პირველი კლასი ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება. მეორე ყოველგვარი გაუმჯობესებობის წინააღმდეგია. მესამე იცავს სრულ საერთო თანასწორობასა და ბედნიერებას. დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება ყველას საბედნიეროთ არ არის მოწყობილი; აქ თანასწორობა არ არსებობს. ყოველი საზოგადოების მიზანი სენსიმონის აზრით ღარიბი ხალხის ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობესებაა; ამიტომ თვით საზოგადოებრივი წყობილებაც იმგვარი უნდა იყოს, რომ ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობდეს. დღევანდელი ცხოვრება ამ მიზანს არ შეეფერება, ამიტომ ამ ცხოვრებას შეცვლა უნდა. მაგრამ თავად-აზნაურობა, ბიუროკრატები და მდიდრები არსებული ცხოვრების შეცვლას ყოველნაირათ ეწინააღმდეგებიან; ინტელიგენცია დ მრეწველები კი საერთო თანასწორობისა და კეთილდღეობისაკენ მიისწრაფიან და ამის გამო არსებული წყობილების შეცვლა უნდათ. ამიტომ საზოგადო ინტერესი მოითხოვს, რომ ცხოვრების სათავეში ინტელიგენცია და მრეწველები ჩადგენ. თავად-აზნაურობამ, ბიუროკრატიამ, მდიდრებმა, დღევანდელმა მთავრობამ სენსიმონის შეხედულობით ამათ ალაგი უნდა დაუთმონ. მაშინ ინტელიგენცია განავითარებს დაუბრკოლებლათ ცხოვრების გონებრივ მხარეს, მრეწველები—ეკონომიურს და საერთო ძალღონით დაამყარებენ ისინი სრულ თანასწორობასა და კეთილ დღეობას.

ამგვარათ, სენსიმონის აზრით, სახელმწიფოში უფლება და მმართველობა უნდა გადავიდეს ამ ორი კლასის ხელში. ძალა და ბრძოლაა ამისათვის საჭირო თუ არა? სენსიმონი პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგი იყო და მას მხოლოთ ჩაგონებისა და შეგნების იმედი ჰქონდა.

ახალი წყობილების დამაარსებელნი, შესაძლებელია, წამებულთა რიცხვში მოექცენ, ხოლო ჯალათებათ ისინი არასოდეს არ უნდა გახდენო, ამბობდა და სწერდა სენსიმონი. ის ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ ახალი წყობილების საზოგადო სარგებლობას შეიგნებდენ თავად-აზნაურობაც, მდიდრებიც, მთავრობაც და ამიტომ მისი წინააღმდეგი აღარ გახდებოდენ. სენსიმონი თავის ნაწერებში გულწრფელათ ურჩევდა საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო მეთვრამეტეს: შენი საკუთარი ინტერესი მთელი ხალხის კეთილდღეობას უნდა დაუმორჩილოვო.

საჭიროა იმისი განმარტება, თუ ვის სთვლიდა სენ-სიმონი მრეწველებათ. დღეს მრეწველებს საზოგადოთ უძახიან ბურჟუაზიას. სენსიმონი კი მრეწველებს სთვლიდა მუშა ხალხს და მრეწველობაში ჩაბმულ ბურჟუაზიას. ამგვარათ სენ-სიმონს შეუმჩნეველი დარჩა ის მტრობა და ბრძოლა, რომელიც კაპიტალსა და შრომის შუა არსებობს. სენსიმონის დროს ეს მტრობა ისე გამოაშკარავებული, ცხადი და პირ-ბადე ახდილი არ იყო, როგორც დღეს არის. მაშინ ბურჟუაზია და პროლეტარიატი ორივე ხელიხელ ჩაკიდებული თვითმპყრობელობას ებრძოდა საფრანგეთში; წვრილი და საშუალო ბურჟუაზიას ჯერ გაცილებით მეტი იყო მხნეობა/მხსვილზე და ამიტომ სენ-სიმონი დარწმუნებული იყო, რომ ბურჟუაზი-

ისა და მუშა ხალხის მიზანი ერთი და იგივე იყო, რომ ორივეს ერთგვარი ინტერესები ჰქონდათ კლასთა შორის რომ ბრძოლა არსებობს, ეს სენ-სიმონმაც გამოსთქვა ნათლათ და თვით საფრანგეთის რევოლციის დაასაბუთა. ხოლო მუშა ხალხი და ბურჟუაზია მას მიაჩნდა ერთ მრეწველ კლასათ.

სენ-სიმონის მიზანი იყო იმგვარი საზოგადო წყობილება, საცა ყველა შრომობს, ყველა თანასწორია, საცა ყოველ ადამიანს ეძლევა ყოველისფერი მისი ნიჭისა და შრომის კვალობაზე. როგორც უკვე დავინხეთ, სენ-სიმონის რწმენით ამგვარ წყობილების სიკეთე იმდენათ ცხადია ყველასათვის, რომ მისი წინააღმდეგი არავინ არ გახდება და ამიტომ ის უბრძოლველათ და სისხლის დაუღვრელათ უნდა განხორციელდეს. სენ-სიმონის აზრით, ახალი წყობილების განხორციელება მალე შეიძლება, მხოლოთ საჭიროა ფული ახალს ნიადაგზე ცხოვრების მოსაწყობათ პირველს ხანებში. ფულის შოვნა კი შეიძლება ხელის მოწერით. როდესაც მოგროვდება საკმაო ფული, მთელმა ევროპამ უნდა ამოირჩიოს ოცდა ერთი სწავლული, მეცნიერი და მწერალი. ესენი შეადგენენ უმაღლეს მთავრობას. უმაღლესმა მთავრობამ უნდა გადააკეთოს ცხოვრება ისე, რომ სრული თანასწორობა და კეთილდღეობა განხორციელდეს. სენ-სიმონს დაწვრილებით არა აქვს განხილული თავისი მომავალი წყობილება საერთო კეთილდღეობისა და თანასწორობისა; ის გვიხატავს მხოლოთ ზოგად სურათს, რომელიც შემდეგ და შემდეგ იმისმა მოწაფეებმა გამოარკვიეს.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში სენ-სიმონი ცდილობდა მუშათა პარტიის შექმნას. ის მოკვდა ისე, რომ თავისი უკანასკნელი სურვილი ვერ შასრულა და მისი განხორციელება უანდერძა თავის მოწაფეებს, რომელთა შორის საუკეთესონი იყვენ ბაზარი და ანფანტენი. ამათ შექმნეს პარტია, რომელმაც ოცდაათ წლებში, მეთრე რევოლუციის დროს დიდი გავლენა მოიპოვა საფრანგეთის საზოგადოებაში, მაგრამ ეს გავლენა ინტელიგენციის წრეს არ გასცილებია.

სენ-სიმონიზმს მიემხრენ განათლებული პირები, რომლებსაც არსებული წესწყობილება არ აკმაყოფილებდა და მომავალი კი ვერ გამოერკვიათ. მდიდრებშიაც ბევრი გამოუჩნდა მას თანამგრძნობნი, რომლებიც პარტიას დიდ ფულსა სწირავდენ. პარტია უფრო ინტელიგენციაში ეწეოდა აგიტაციას და პროპაგანდის. ამგვარათ სენ-სიმონის მოწაფეებმა მუშათა პარტიის მაგიერ დააარსეს ინტელიგენტთა პარტია; მთელი ეს მოძრაობა იყო ინტელიგენტთა მოძრაობა და არა მუშა ხალხის მოძრაობა.

რა მიზანს ემსახურებოდა ეს პარტია?

„ჩვენ გვინდა, გავაუქმოთ ყველა მემკვიდრეობითი უპირატესობანი, გავანთავისუფლოთ მუშა ხალხი და კეთილი ცხოვრება მხოლოთ იმათ უნდა ხვდესთ, ვინც თავისი შრომით საზოგადოებას არჩენს, ანათლებს და ავითარებს, — ესენი არიან მრეწველები, მეცნიერნი და მსახიობები. ჩვენი მიზანია, რომ მოსავალი მხოლოთ იმან მოიმკას თავისთვის, ვინც დასთესა. მუშა ხალხის შრომის ნაყოფს არ უნდა სჭამდენ უქმი კლასები, რომლებიც არაფერს არ აკეთებენ, რომლებმაც არაფერი არ იციან, რომლებსაც არასფერი არ უყვართ, გარდა საკუთარი თავისა. ჩვენ გვინდა ისეთი წყობილება, საცა ყოველ ადამიანს მოეთხოვება მისი ნიჭის მიხედვით და ეძლევა მისი შრომის კვალობაზე. ჩვენ გვინდა, მოვსპოთ სხვა და სხვა გადასახადები, რომლებსაც შრომა აძლევს უსაქმურობას“. და სხვა და სხვა. აი ამას სწერდა სენსიმონისტების გაზეთი. სენსიმონისტების აზრით მემკვიდრეობის გაუქმებით მთელი ქონება, — მიწა და კაპიტალი — გადავიდოდა დაბოლოს სახელმწიფოს ხელში და მას უნდა მოეწყო საერთო წარმოება ახალი საზოგადო წყობილების დასამყარებლათ. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ სენ-სიმონისა და მისი სკოლის აზრით ახალი წყობილებების ასაგებათ საჭიროა:

1. წოდებისა და კლასების გაუქმება.
2. კერძო საკუთრების მოსპობა.
3. ყველა საწარმოვო საშუალებათა გასაზოგადოება.
4. ხალხის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში თანასწორის უფლებით (თვით ხალხი ირჩევს უმაღლეს მთავრობას).
5. კაცობრიობის მართვა ხალხის მიერ არჩეულ მეცნიერებისა და ხელობის მსახურთაგან.

პირველ ხანებში სენ-სიმონის მოძღვრებამ ბევრი თანამგრძნობი და მიმდევარი მოიპოვა. როგორც დავინახეთ, ესენი უმთავრესათ ინტელიგენტები იყვენ, მუშა ხალხი კი სენსიმონიზმის გარეშე დარჩა. სენსიმონიზმი გადაიქცა ინტელიგენტთა მოძღვრებათ, ინტელიგენტურ სოციალიზმათ. გატაცებამ მალე გაიარა; თანამდრძნობთა რიცხვმა ნელ-ნელა იკლო. პარტია თანდათან დაუძლურდა და ბოლოს სრულებით მოისპო.

**ივ. გომართელი.**

(შემდეგი იქნება).

# სამშობლოს

ღამის ზვიადი ბნელ-უკუნეთი
ტანჯულ ქვეყანას გარს შემორტყმოდა.
იყო დუმილი... უაზრო ტანჯვა...
იმედის ხმა კი არსით ისმოდა.

მიწას საკლებათ შემოსეოდა
სხვა და სხვა ჯურის ღამით მავალი:
ღამურა თაგვი, ბუ ანაკვნესი,
ტყის ნადირი და ქვეწარმავალი.

გველ-ბაყაყისა სისინ-ყიყინი
გულის მფხატრავი, სევდის აღმძვრელი,
დროს შესადარი იყო მოლხენა,
ჯოჯოხეთური, აუტანელი...

*
* *

შორს კი, მიწისა მეორე მხარეს,
დღე სანატრელი, ნათელ-მზიანი
მძების ქვეყანას თავს დასდგომოდა,
დუღდა ცხოვრება ამო-ხმიანი!

—

არ იყო ტანჯვა... არცა განცხრომა
უანგარიშო და უდიერი,
არც ადამიანთ განსასხვავებლათ—
ბედ-უმადური, ბედ-მადლიერი.

—

ასაკლებათ და დასაცარავათ
მიწას ვერავინ მიესეოდა
და მხეცურ მადის საკმაყოფილოთ
მსხვერპლთ წმინდა სისხლი არ ითხეოდა.

—

ნიავი შლიდა ჭაერში ალამს
ნიშნად კაცთ შორის შეთანხმების
და ყურთა სმენას აჯადოვებდა
ტკბილ-მელოდია ციური ხმების!..

*
* *

შენ კი, ტანჯულო, ჩემო სამშობლოვ,
ღამის წყვდიადი თავს გებურება!..
მაგრამ იმედი გულს არ გაიქრო,
შენც გაგიღიმებს ტურფა ბუნება.

—

დღეს თუ ბნელი გხშავს, ბედი იცვლება:
ხვალ მზის სხივებში გაგითენდება
და დასერილი, ნაკოდი გული
მათ ცხოველ შუქზე გაგიმრთელდება.

—

ასეტაკი დროშა, ძმობის ალამი,
აფრიალდება შვებით ჭაერში
და ულმობელი ცხოვრების ჯადო
ჩაინარცხება ტალახში, მტვერში!..

**ნ. ზომლეთელი.**

## ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა მოძრაობის ისტორიიდან

(„Отчетъ союза Механическихъ рабочихъ г. Баку и его раіоновъ за 1907/8 г.“)

—:—

ბაქოს და მის რაიონის მექანიკურ წარმოების მუშათა პროფესიონალურ კავშირების ანგარიში 1907/8 წ., რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა ცალკე წიგნაკათ, ფრიად საინტერესო სურათს გვიყენებს თვალწინ. იგი საგულისხმოა მთელ ჩვენ მუშათა მოძრაობისათვის საზოგადოთ.

უპირველესად აღნიშნულია ის საერთო, საიმპერიო მიზეზები, რამაც გამოიწვია მუშათა ორგანიზაციების განვითარება და შემდეგ მათი დაცემა-დაუძლურება.

მუშათა ფართო პროფესიონალურ ორგანიზაციებს დასაბამი მისცეს „თავისუფლების დღეებმა“ 1905 წ. ეს ორგანიზაციები პირველათ დეკემბრის დამარცხებამ წააჩოქა სასტიკათ. მაგრამ მუშებში მაინც არა ჰქრება იმედი თავისუფლების მოპოვებისა. მალე წელში იმართებიან და კვლავ ენერგიულათ იწყებენ პროფესიონალურ შეკავშირებას. 1906 წ. გაზაფხულიდან მრავლათ ჩნდებიან წვრილი და მსხვილი კავშირები. პირველ სახელმწიფო დუმის არსებობის დროს, როცა კვლავ მაღლა იწევს საზოგადოებრივი მაჯის ცემა, მაღლა იწევს და ვითარდება პროფესიონალური მოძრაობაც. პირველ დუმის გარეკის შემდეგ საერთო რეაქციასთან ერთად ძლიერდება რეპრესიები პროფ. კავშირების წინააღმდეგაც. მაგრამ ესენი ჯერ კიდევ „ბედს“ არა ჰნებდებიან და მხნეთ იბრძვიან საარსებო უფლებისათვის. ასე გრძელდება 1907 წ. ზაფხულამდე, როცა გარეკილ იქმნა მეორე სახ. დუმა და მთელი იმპერია გაითანგა „განსაკუთრებულ მდგომარეობით“. მუშათა წინააღმდეგ პოლიციურ რეპრესიებს მხარი მისცა წითელი აჩრდილით დამფრთხალმა მსხვილმა კაპიტალმა. 1907 წ. მეორე ნახევრიდან პროფესიონალური კავშირები სწრაფათ დაქანდენ დაღუპვისაკენ. მუშები გარბიან კავშირებიდან და ვინცა რჩებიან, ისინიც უნუგეშო გულგრილობას ეძლევიან. მაგ. პეტერბურგის სტამბის მუშათა კავშირი, რომელშიაც წინათ შედიოდა 10,000 მუშა, 1908 წ. აგვისტოში ითვლის მხოლოდ 2,100 წევრს; ამათში საწევრო ფულის გადამხდელი (ე. ი. ნამდვილი წევრი) არის მხოლოდ 500 კაცი. მეორე კავშირში (ხეზე მომუშავეთა პროფ. საზოგადოება) 1,600 კაციდან საწევრო ფულს იხდის მხოლოდ 300. სხვა ქალაქებში კიდევ უარესობაა. იქ წევრთა 80—90⁰/₀ არ იხდის სავალდებულო წვლილს.

აი ამ საერთო სავალალო მდგომარეობაში ვარდება ბაქოს მექანიკურ წარმოების მუშათა კავშირიც.

საანგარიშო წლის დამდეგს კავშირის წევრათ ირიცხებოდა 3347 კაცი, წლის დამლევს ამ რიცხვს თითქოს კიდეც უმატნია; ჩაწერილი ყოფილა 3986. ეს შეადგენდა ამ წარმოების მუშათა საერთო რიცხვის მესამედს, რაიც დიდმნიშვნელოვან მოვლენათ უნდა ჩათვლილიყო; მაგრამ ნაჩვენები ციფრები, სამწუხაროთ, მხოლოდ ქაღალდზე ყოფილა დაწერილი. 2347 კაციდან ნამდვილი წევრი ყოფილა მხოლოდ 1890, ამათგანაც საწევრო ფულის თავ-თავის დროზე გადამხდელი ყოფილა მხოლოდ 845. წლის ბოლოს ეს ციფრი დასულა 434-ზე. და წევრთა ნომინალური რიცხვიდან (3986) წლის ბოლოს კავშირში დარჩენილა მხოლოდ 15⁰/₀.

მერე თავის საკუთარ ორგანიზაციებ თავ მინებებული მუშები საით გარბიან და რაღას აკეთებენ? ამ

საკითხზე „ანგარიში“ უპასუხებს იმასვე, რაც ითქვა მოსკოვის ლითონზე მომუშავეთა სადელეგატო კრებაზე: მუშათა მასაში საზარლათ გავრცელდა ლოთობა, ქალალდის თამაშობა და პირდაპირი ხულიგანობა. ამ საშწხარო მოვლენამ თავი იჩინა მთელს იმპერიაში. „ერთი და იგივე მიზეზები იწვევენ ერთსა და იმავე შედეგებს. ეკონომიური უუფლებობა და იმ რწმენის დაკარგვა, რომ ამ უუფლებობის მოსპობა შესაძლებელი იყოს უახლოებელეს მომავალში — აი ძირითადი მიზეზები, რამაც გამოიწვია ჩვენი პროფესიონალურ კავშირების დაცემა და დარღვევაო“—სამართლიანათ შენიშნავს „ანგარიში“, და ამ საერთო მიზეზებს იგი დასძენს კიდევ ადგილობრივ პირობებს, რომლებიც ხელს უცარავდენ მუშათა ორგანიზაციას.

პირველათ, ეს არის თვით ბაქოს ნავთის მრეწველობის განსაკუთრებული ვითარება, მისი მონოპოლიური ხასიათი შინაურ ბაზარზე. წარმოების მესაკუთრეთა მოგება ისეთის საზღაპრო სისწრაფით იზრდება, რომ მათთვის ძალიან ადვილი და უფრო სასარგებლო ხდება მუშების მინიმალურ მოთხოვნათა დაკმაყოფილება. მუშები ეჩვევიან ადვილ გამარჯვებას და ველარ ჰხედავენ ძლიერ პროფეს. კავშირის მიუცილებელ საჭიროებას. მეორე ადგილობრივი მიზეზი, რომელიც წინ ეღობება კავშირის განვითარებას, არის „მაზუტის ქვეყანაში არსებული წარმოების მტაცებლური ხასიათი... იგი მუშებში ხელს უწყობს არა კლასიურ ბრძოლის იდეის განვითარებას, არამედ კლასიურ სიძულვილის გრძნობას. ეს უკანასკნელი კი, როგორ ცნობილია, თავის გამოხატულებას პოულობს ხოლმე პარტიზანულ ბრძოლის ფორმაში. აქ ორგანიზაციული და დაგეგმილი ბრძოლა ადგილს უთმობს უორგანიზაციო, განცალკევებულ აფეთქებას, პარტიზანულ მოქმედებას, რისთვისაც ხშირათ პროფესიონალური კავშირი სრულებითაც არ არის ხელსაყრელი. ამის გამო მუშათა მასსა კლასიურ ორგანიზაციის გარეშე რჩება და კლასიური პროფესიონალური ორგანიზაცია კიდევ მუშათა მასსის გარეშე“.

მაგრამ მიუხედავათ ყოველ სიდუხჭირისა და მრავალ დაბრკოლებათა, პროფ. კავშირს მაინც ეტყობა ერთი სანუგეშო მოვლენა· საანგარიშო წლის მეორე ნახევრიდან რიცხვი იმ მუშათა, რომელნიც თავთავის დროზე იხდიან საწევრო გადასახადს, აღარ განიცდის შესამჩნევ ცვლილებას; იგი თითქმის აღარ კლებულობს, თითქმის ერთ დონეზე სდგას. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ კავშირში დარჩენილან მუშათა საღი, საუკეთესო და მოწინავე ელემენტები. ეს გარემოება თავდებია იმის, რომ მუშათა კლასიურ ორგანიზაციის უჯრედები არამც თუ არ მოისპობა, პირიქით თანდათან განვითარდება და გამძლავრდება.

(შემდეგი იქნება)

# ჩემი აღსარება

—:—

დაე ცხოვრება ასე მოეწყოს,
არა მწყალობდეს ტიალი ბედი;
ძმა-მეგობარი შორს გამდგომოდეს,
არ მქონდეს მათგან შველის იმედი;

—

სატრფომ გულისამ დამგმოს, დამტანჯოს,
ჩემს წმინდა გრძნობას ზურგი აქციოს
და თვით ზეცამან მრისხანებითა
ღვართქაფი თავზე გადმომაქციოს.

—

არ შევშფოთდები, არ შევძრწუნდები,
ყველა მათ ღალატს დინჯად დავხვდები,
ხოლო საქვეყნო საქმეში ღალატს
არვის შევარჩენ — ზედ შევაკვდები.

დ. თურდოსპირელი

# შ ა ლ ვ ა.

## II

შალვას ამხანაგი დათიკო, რომელიც შალვას მოშორდა და სტამბაში წავიდა, საღამოს მოგვიანებით დაბრუნდა, რადგანაც ამხანაგებს დათიკოს დათხოვნის გამო კრება ჰქონდათ.

— შალვა არ მოსულა? იკითხა მან სახლში შესვლისთანავე. — არ მოსულა, იყო პასუხი. — ალბათ რომელიმე ამხანაგთან არის, იფიქრა დათიკომ, აივანზე გავიდა და სიცხისაგან გახურებული შუბლი დასავლეთიდან მობერილ გრილ სიოს მიუშვირა. მოდი წავალ შალვასთან, სთქვა მან ცოტახნის შემდეგ, მაგრამ აზრი ისევ შეიცვალა, რადგანაც საავადმყოფოდან ახლად გამოსული იყო და თავს სუსტათ გრძნობდა. დათიკო იქვე სკამზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა: მგონი მეღირსოს მოხუცი დედის ნახვა, მე კი იმედი დაკარგული მქონდა. შალვამ თუ ბილეთი იაფათ იშოვა, ცოტა სახარჯო სახლშიაც ჩამყვება. რა საუკეთესო დრო დავკარგე ტყვილა უბრალოთ. თუმცა გურიაში რომ ვყოფილიყავი, დაწვა-დაგვას არ დამაჯერებდენ და ეხლა ჩემი ძვლები აღარ იქნებოდა მიწაში... განა ჩემს ამხანაგებს ცოტას მოუგრიხეს კისერი?!. ვისი წყალობით მოაგლიჯეს ისინი საყვარელ შშობლებს, დებს, ძმებს, ცოლშვილს და ამხანაგებს?!.. როგორ უხარიათ, რომ დროებით გაიმარჯვეს!.. მაგრამ ერთი დრო არავის შერჩება, ყოველთვის ღარიბ და დაჩაგრულ ხალხისათვის არ იწვიმებს, ერთხელ ჩვენთვისაც გამოიდარებს... ღამეს დღე მოყვება; ეს ხომ ბუნების წესია...

დიახ, სამი წელი დავკარგე. ყოველი მხრით ჩამოვრჩი ცხოვრებას, მაგრამ, არაუშავს, ჯერ კიდევ

ახალგაზრდა ვარ და, თუ ჯანმრთელობამ არ მიღალატა, ყველაფერს მოვესწრები. კარგი ამხანაგების დახმარებით კიდევ გამობრუნდება საქმე. რა კარგი ბიჭია შალვა! მეტისმეტი გულახდილი და კეთილია. გუშინ მითხრა: —მე შენ და გიორგისთანა ამხანაგი არა მყავსო. რა უყვარს მაცადინობა!.. დარწმუნებული ვარ, მისაბაძი კაცი იქნება...—ამ დროს აივანზე მოსამსახურე ჩინელი გამოვიდა.—შალვა კიდევ არ მოსულა?—ჰკითხა დათიკომ.—არ მოსულა სთქვა ჩინელმა.—ნეტავი სად არის აქნამდის, აგერ ათი საათი სრულდება! მე კი მითხრა: საღამოს ადრე მოვალო. ალბათ გრიგოლთან ან ნიკოსთან თუ არის.—სთქვა მან და თითქოს გულმა უგრძნოვო, ნელის ხმით სამგლოვიარო სიმღერის „მსხვერპლათ დაეცით“ მღერა დაიწყო. ნელნელა ხმას უმატა



გუნების ჭიალში.

და ბოლოს ისე გაიტაცა ამ სიმღერამ, რომ შეიძლება კიდევ დიდხანს არ დასთხოვოდა, რომ მეზობლებს, რომლებიც ყურს უგდებდენ მის სიმღერას, ტაში არ დაეკრათ მისთვის.—ჰოო, თორმეტი შესრულებულა! ალბათ აწი შალვა აღარ მოვა,—სთქვა მან, ლამპას ოდნავ დაუწია და ლოგინში ჩაწვა.

მეორე დღეს დილითვე წამოდგა დათიკო და გრიგოლთან წავიდა;—სადაც შალვა ეგულებოდა.

— წუხელის აქ შალვა არ ყოფილა?—შესვლისთანავე იკითხა მან.

— არა, არ ყოფილა.—იყო პასუხი.

— ბიჭოს! ამ კაცს უბედურება არაფერი შეხვედროდეს! გაიფიქრა მან და ნიკოსთან წავიდა—შეიძლება იქ არისო. მაგრამ შალვა არც იქ აღმოჩნდა. მესამე ამხანაგს ტელეფონით დაელაპარაკა, წუხელის შალვა შენთან ხომ არ ყოფილაო, მაგრამ ამაოთ. დათიკომ ეს ამბავი სხვებსაც გააგებინა. ბევრმა სიცილი დაიწყეს, —რა ვუყოთ კაცმა ერთი ღამე სხვაგან გაათიოსო. თუ ცოცხალია, ალბათ, სასადილოში შემოვაო, იფიქრა დათიკომ და იქ დაუწყო ცდა. თორმეტი საათი, პირველი, მეორე, შალვა არა სჩანს. ეხლა კი გადაწყვიტა მან, რომ უბედურება აუცილებელიაო და მაშინვე პოლიციაში განცხადება მისცა.

ის დღე დაღამდა. შალვა არ გამოჩნდა. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო. აქა იქ მახლობელ სადგურებზე ნაცნობებთან ტელეგრამებიც გაგზავნეს, შეიძლება იქ წავიდაო, მაგრამ ამაოთ. მეორე დღესვე ქართველების კრება მოხდა.

— შალვა უსათუოთ მოკლულია—თვალცრემლიანმა მიმართა კრებას დათიკომ. ვინ იცის, შეიძლება ქართველმა შანტაჟისტებმაც კი გაისვარეს ხელი მის წმინდა სისხლში. თან ჰქონდა ას-ოც მანეთამდე ფული, ბანკის კნიშკა, ოქროს ნაჩუქარი ყარანდაში და ვერცხლის საათი. ვეცადოთ და აღმოვაჩინოთ როგორმე ეს საზიზღარი ბოროტ მოქმედებაო, — სთქვა დათიკომ.

— მკვდარი როგორ იქნება, კაცო, შალვას ვინ მოკლავდაო?!—სთ!ვეს ზოგიერთებმა.

— განა ცოტა მოუკლავთ?! უპასუხა მეორემ.

— მტერი ხომ არავინ ჰყოლია თუ ვინმემ იცის? —იკითხა მესამემ.—არავინ არ ჰყოლია,—იყო პასუხი. ყველა ძალზე შეაწუხა და დააღონა ამ ამბავმა. ძლიან მოინდომეს, რომ რაიმე კვალისათვის მიეგნოთ. ვინ რას ამბობდა და ვინ რას, მაგრამ ამაოთ. კრებამ ამ საქმის გამოსაკვლევათ განსაკუთრებითი კომისია აირჩია.

შალვა რომ სამ ივლისს დაიკარგა, ხუთს ვიღაც მესაათე ებრაელს მესაათე ჩინელმა ოქროს ყარანდაში მიუტანა და მიჰყიდა, რასაც თვალი შეასწრო ერთმა იმათგანმა, რომელსაც შალვას ნივთების შესახებ გაგონილი ჰქონდა. მან ეს ამბავი შალვას ამხანაგებს გააგებინა. კარანდაში შალვასი აღმოჩნდა... მაშინვე მესაათე ჩინელი შეიპყრეს, რომელმაც მესამე პირზე უჩვენა. მესამე პირმა კი უჩვენა იმ ჩინელზე, რომელმაც შალვა მოჰკლა.

— ოიჰა! . დაიძახა მან, როცა დაიჭირეს, და უცებ ფეხზე ხელი იტაცა, სადაც შალვას ას მანეთიანი აღმოაჩნდა. ჩინელი გამოტყდა.

— მე მოვკალი—სთქვა მან. მეხმარებოდა აგრეთვე ერთი რუსი, რომლის ვინაობას არ ვიტყვი, ისე კი მეექვსე ქუჩაში სდგას.

— მეექვსე ქუჩაში!.. ვინ არის ასეთი მეექვსე ქუჩაში?—იფიქრა პრისტავმა, რომელსაც ამ საქის გამოძიება ჰქონდა მინდობილი. ის არ იყოს, ამას წინათ რომ პური მოიპარა და გავანთავისუფლე!.. იმას პოლიციაში ჯაშუშათაც უნდოდა დამდგარიყო. ის ხომ მეექვსე ქუჩაში დგას!.. ერთობ ღარიბათ ცხოვრობს.

შეიძლება ის იყოს... სთქვა მან და გასწია მისი სახლისაკენ. მაგრამ სანამ პრისტავი ჩერნერს დაიჭერდეს, საჭიროა იცოდეს მკითხველმა როგორ იპოვეს შალვას გვამი.

შალვას დაკარგვიდან ექვსი დღის შემდეგ, შემთხვევით ვიღაცამ შენიშნა მიწიდან ამოშვერილი კაცის ხელი. მან ეს ამბავი მაშინვე ხალხს გააგებინა. ყველა იქითკენ გაეშურა. მოთხარეს მიწა და ამოაგორეს შალვას უთავო გვამი.—ეს არის თუ იცი?—ჰკითხეს დათიკოს.—ეს არის, ეს. ცრემლების ღაპა-ღუპით სთქვა მან.

— დავიღუპეთ!.. ნახეს—უთხრა ჩერნერმა ცოლს და რომ მათზე ეჭვი არ მიეტანათ, ისინიც მივიდენ შალვას გვამთან.—ვინ არის, ვის მოუკლავსო, კითხულობდა მართალსავით ჩერნერი, ხოლო ცოლმა კი ვეღარ გაუძლო და ხალხს თვალი მოაშორა.—უნდა წავიდეთ ამ სახლიდან, საშიშია, ეჭვი ჩვენზე არ მოიტანონ—უთხრა ცოლს ჩერნერმა. თქმა და ასრულება ერთი იყო. იმ ღამესვე დასცალეს სახლი და ნახევარ ვერსის მანძილზე გადვიდენ. ხალხმა კი შალვას გვამი „ჩასოვნიაში“ გაასვენა.

ჩერნერი ერთი დღით ადრე იყო ახალ სახლში გადასული, როცა პრისტავი იმის საძებრათ წავიდა.—გუშინ გადავიდა,—უთხრეს პრისტავს და თან ის ალაგიც უჩვენეს, სადაც ცხოვრობდა. პრისტავმა იპოვნა და მაშინვე ოჯახობით შეიპყრო. ჩერნერი ყველაფერს მიხვდა, პრისტავის დანახვაზე გაქცევა დააპირა, მაგრამ გვიან იყო.

სანამ გამომძიებელი ჩერნერს და იმის ცოლს ჩამოართმევდა ჩვენებას, მან მისი ხუთი წლის ვაჟი წაიყვანა სახლში, კამფეტები უყიდა და დაუწყო გამოკითხვა.—კიდევ ბევრ კამფეტებს გიყიდი, ახალ პეპიასაც შეგიკერავ, თუ მეტყვი პაპამ როგორ მოჰკლა ბიძია,—დაუყვავა მან ბავშვს.—ის კაი ბიძია იყო—სთქვა ბავშვმა. პაპამ თავი მოჰჭრა ბიძიას, დედამ მაშინ იტირა—ამბობდა უდარდელათ ბავშვი და თან კამფეტებს შეექცეოდა.—ბიძია მაშინ წაიქცა და თავი იტკინა. სისხლი გადმოდინდა. მე პაპამ ფული მომცა.—ბავშვმა რომ ეს ყველაფერი გაიგო, ცოლქმარმაც იცოდა და ამიტომ ბავშვს სახლიდან გარეთ არ უშვებდენ არავისთან არაფერი წამოსცდესო.—გამომძიებელმა ეხლა ცოლს ჩამოართვა ჩვენება.—შენი ქმარი გამოტყდა. უკეთესია შენც მართალი სთქვა, თორემ კანონი მეტ სასჯელს მოგაყენებსო, უთხრა გამომძიებელმა და ბავშვის ნალაპარაკევი ქრმის ნალაპარაკევათ გადასცა (ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე იყვნენ დამწყვდეულნი). რაკი მას ყველაფერი უთქვამს, ბარემ მეც სიმართლეს ვიტყვიო, იფიქრა ჩერნერის ცოლმა და ყველაფერი სიმართლე ილაპარაკა.—მე არ ვიცოდი, თუ მოჰკლავდენ.—იცრუა მან. მე მითხრეს, ბევრი ფული აქვს და წავართმევთო, მერე კი მოჰკლესო—სთქვა ქალმა.

— როცა მოჰკლეს, შენ რატომ არ იყვირე, და პოლიციას არ გააგებინეო—ჰკითხა გამომძიებელმა.

— როგორ ვიტყოდი, მაშინ ხომ ქმარი მომკლავდაო, მიუგო ჩერნერის ცოლმა.

— შენ ხომ არ იცი თავი სად მარხია?—შეეკითხა გამომძიებელი.

— ნამდვილათ არ ვიცი სად არის დამარხული. დამარხვაზე არ ვხლებივარ. ისე კი, როგორც მეორე დღეს მიჩვენა, ტანზე ოთხმოცი საჟენის მოშორებით უნდა იყოს დამარხული.

ამნაირათ შალვას მკვლელები აღმოჩნდენ. თუმც ჩერნერი ცივ უარზე იდგა, მაგრამ ცოლის ჩვენების შემდეგ ეს ვერაფერს უშველიდა. ამასთანავე იმ სახლში, სადაც შალვა მოჰკლეს, იატაკზე შენიშნეს სისხლი, რომელიც ანალიზის შემდეგ კაცის სისხლი აღმოჩნდა. ამ გამოძიებაში ორ კვირაზე მეტი გავიდა, ის იყო შალვას გვამი უთაოთ უნდა დაემარხნათ, რომ ენერგიული ძებნის შემდეგ თავიც იპოვეს და ტანთან ერთად ჩაასვენეს ცინკის კუბოში.

საათის თერთმეტზე შალვას კუბო, სხვა და სხვა სარევოლუციო სიმღერებით და გვირგვინებით აუარებელ ხალხს მიჰქონდა სასაფლაოსაკენ, სადაც საგულისხმო თანამედროვე გრძნობით სავსე სიტყვები წარმოითქვა.

სხვათა შორის, ერთმა რუსმა ამხანაგმაც წარმოსთქვა გრძნობით სავსე მოკლე სიტყვა.

— Братъ убилъ брата! დაღონებულმა ნელის ხმით სთქვა მან და დაიღლიავებული, თავ ჩაქინდრული დააჩერდა შალვას კუბოს. . . . . . . . ავაზაკი, რომელმაც შენ მოგისპო სიცოცხლე, ავაზაკათ არ დაბადებულა . . . . . . . . . ერთს, ან ორ ავაზაკს არ მოუკლავხარ შენ, პატიოსანო ამხანაგო!.... შენი მკვლელია თვით დღევანდელი ცხოვრების ცუდი პირობები! . . . . . შენი მკვლელი აღზარდა დღევანდელმა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ . . . . . . . ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენი მსხვერპლი შეეწირება დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანასწორობას! . . . . . . . . . . . დიახ, ძმამ მოჰკლა ძმა!!.... ვეცადოთ, ძმებო, რომ ძმა არ ჰკლავდეს ძმასო, სთქვა მან და გაჩუმდა.

კუბო სამარეში ჩაუშვეს. დაღონებული ამხანაგები ზანტათ აყრიდენ საყვარელ ამხანაგს მიწას, რომელსაც კუბოზე რახა-რუხი გაჰქონდა. შალვას მშობლებმა კი ამ დროს ტელეგრამა მიიღეს: „შალვა მოჰკლეს და დღეს ვასაფლავებთო“. ტელეგრამის დანახვაზე მათ ეგონათ ალბათ შალვა წამოსულაო, რადგანაც უკანასკნელ წერილში იწერებოდა: როგორც გამოვალ, მაშინვე ტელეგრამას გამოგიგზავნითო, ამიტომ შალვას დამ, სიხარულით აღტაცებულმა, გახსნა ტელეგრამა, მაგრამ.... სიხარულის მაგიერ ივლიანე კეთილაძის ოჯახში ჯოჯოხეთი დატრიალდა!.....

ს. ჩემონიძე.

### ანდრე კოსტას ვიცე-პრეზიდენტათ არჩევა

**იტალია.**

„სახალხო ბლოკის“ ბრწყინვალე გამარჯვებამ, რომელმაც პარლამენტში გაიყვანა 120 დეპუტატი, შესანიშნავათ ასწია სოციალისტურ პარტიის ძალა და მნიშვნელობა.

ჯერ კიდევ ამ 15 წლის წინათ, როცა სოციალისტი დეპუტატი პარლამენტში იტყოდა ხოლმე: „ჩვენ სოციალისტები, წინადადებას ვიძლევით“—თავჯდომარე მას უმალვე სიტყვას აწყვეტინებდა: „აქ არ არიან სოციალისტები, თქვენ მხოლოდ დეპუტატები ხართო“. მთავრობა სოციალისტ მოღვაწეებს ბეჯითათ ამწყვდევდა ციხეებში, რომ ამ რიგათ მოესპო სოციალისტურ მოძრაობის ზრდა-განვითარება. ჯერ კიდევ 1908 წ. მთავრობამ მოახერხა მილანის საპყრობილეში ჩაემწყვდია და შემდეგ სამხედრო სასამართლოსთვის გადაეცა ისეთი დამსახურებული სოციალისტი მებრძოლნი, როგორიც არიან კოსტა, ტურატი, მორგარი, ბისოლატი.

მაგრამ დრონი იცვალნენ. დღეს თვით პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტათ არჩეულ იქმნა სოციალისტი, და ისიც სოციალისტი, რომელსაც რეაქციის დროს მთავრობა ხან „ანარქისტობას“ აბრალებდა, ხან „ბომბისტობას“ და ამ საბაბით საპყრობილეში ჰკეტავდა. ეს არის ანდრეა კოსტა, რომლის სახელთან განუყრელათ შეერთებულია სოციალისტურ პარტიის ისტორია უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში. როდესაც თავმჯდომარის ტრიბუნაზე ავიდა ცეცხლის მფრქვეველ გამომეტყველების მოხუცი, ანდრე კოსტა, პალატა ფეხზე წამოდგა და დარბაზში გაისმა მგრგვინავი „ვაშას“ ძახილი, მემარცხენენი ტაშს უკრავდენ თავის თანამოაზრეს, დანარჩენები სალამს აძლევდენ პატიოსან მოწინაალმდეგეს.

ანდრე კოსტას ვიცე-პრეზიდენტათ არჩევამ წამოაყენა ცნობილი საკითხი: შესაწყნარებელია თუ არა, სოციალისტი წარუდგეს მეფეს? თანახმად ჩვეულებისა, სეფე-სიტყვის პასუხი პარლამენტმა უნდა გადასცეს ხოლმე მეფეს თავმჯდომარეებისა და მათ ამხანაგების ხელით.

ანდრე კოსტამ საკითხი უბრალოთ გადასჭრა: მან არ მიიღო მეფის სასახლეში წასვლის დაპატიჟება, და პარლამენტის თავმჯდომარეს შეუთვალა: „როდესაც მივიღე ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, მე ამით მივიღე მოვალეობანი პარლამენტარული და არა ცერემონიალური; უკანასკნელი ეწინააღმდეგება ჩემს ხასიათსა და ჩემს პოლიტიკურ რწმენებს. ამასთანავე დავსძენ, რომ არ შემიძლიან ვითარცა ვიცე-პრეზიდენტმა მეფეს გადავცე ეპისტოლე, რომლის წინააღმდეგ, ვითარცა დეპუტატმა, მე ხმა მივეცი. დარწმუნებული ვარ, თქვენ და სხვა ჩემი პატივცემული ამხანაგები პრეზიდიუმით ღირსეულათ დააფასებთ ამ ჩემს გულწრფელსა და კორრექტულ ქცევასაო“.

---

# წერილი ამერიკიდან

— : —

სოციალისტური პარტია ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც იცით, ჯერ-ჯერობით ვერ თამაშობს შესამჩნევ როლს, მაგრამ მის წევრთა რიცხვი და გავლენაც დღითი დღე იზრდება; სოციალიზმის აღორძინების საქმეს ახალ ქვეყანაში სხვა მიზეზთა შორის დიდათ შეუწყო ხელი ენერგიულ და თავგანწირულ მოქმედებამ სოციალისტურ პარტიის ისეთ გამოჩენილ ლიდერთა, როგორიც არიან გენტი, ხიმპიუიტა, ლი და სხვანი. ამათივე მეცადინეობით, სხვათა შორის, დაარსდა სოციალისტური უნივერსიტეტი, რომელიც განსაკუთრებულ თავისებურობით მთელს ქვეყანაზე ერთად ერთ ასეთს დაწესებულებას წარმოადგენს. ამ ორი წლის წინათ უნივერსიტეტი გახსნა პროფესორმა გერრონმა თავისი სიდედრის კერრი რანდის მიერ შეწირულ ფულით, რისთვისაც სკოლას უწოდეს სახელათ „The Rand School of Sosiol Science“*) მიზანი უნივერსიტეტისა, რომელიც დღეს-დღეობით ერთი ფაკულტეტისაგან შესდგება, ასეთია: გააცნოს მსმენელებს სოციალიზმი და სოციალისტური მოძრაობა. „სოციალიზმი—ნათქვამია მის სამოსწავლო პროგრამმაში, ოცნება, ფანტაზია კი არ არის—ცხოველი ფაქტია, ამასთანავე ფაქტი, უაღრესად მნიშვნელოვანი, ყველა კულტურული ადამიანი ვალდებულია გაიცნოს და შეისწავლოს იგი“.

მაგრამ რას ნიშნავს გაცნობა და შესწავლა სოციალიზმისა? უნივერსტეტის დამფუძნებელთ შეეძლოთ გაეწიათ პროპაგანდა, როგორც ჩვეულებრივად მიღებულია პარტიულ წრეში, ე. ი. მიეთითებინათ მსმენელისათვის დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილების ძირითად უკუღმართობაზე, გაეცნოთ მისთვინ სხვა და სხვა სოციალისტური სისტემები, და ბოლოს წამოეყენებიათ წინ პარტიული “credo“. ამ მიზნით ისინ შესძენდენ პარტიას ახალ წევრს, ზოგ, ნაკლებათ შეგნებულ-განვითარებულ ადამინს, გადააქცევდენ ვიწრო ფანატიკურ მორწმუნეთ. მაგრამ ეს არ არის მიზანი უნივერსიტეტის დამაარსებლებისა. იმათ სხვებზე უკეთ იციან, რომ სოციალიზმი ერთობ დიდი მოვლენაა, რომ მისი მიზეზები დამარხულია დღევანდელ საზოგადოებრივ წყობილების სიღრმეში. მან თვის მოძრაობაში უნდა გარდაქმნას ცხოვრების ყველა მხარეები: წარმოება, უფლება, ზნეობა და სხვა და სხ. სოციალიზმის შესწავლა ნიშნავს მთელ დღევანდელ სოციალურ ცხოვრების შესწავლასა და გაგებას, ამიტომ ივინი იმას კი არ ცდილობენ შესძინონ პარტიას გაფანატიკოსებული წევრები, იმას კი არ ცდილობენ, რომ გაამრავლონ ახალ სარწმუნოების ფანატიკოსები, არამედ აღზარდონ შეგნებული და ყოველ მხრივ განვითარებული მებრძოლნი უკეთეს მომავლისათვის, მებრძოლნი, რომ-

---

*) რანდის სახელობის სკოლა სოციალურ მეცნიერებათა.

ლებისათვისაც სოციალისტური იდეალი არის ნაყოფი შეუზღუდველ თავისუფალ აზროვნებისა. აქედან გამომდინარეობს ორი უმთავრესი პირნციპი სოციალისტურ უნივერსიტეტისა: 1. რაც შეიძლება ფართო პროგრამა... 2. აზრისა და სინდისის თავისუფლება. რაკი ასეთ პრინციპებით ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტის დამფუძნებელნი, მათ სრულებითაც არ აშინებს ფრთოსანი სიტყვა „ბურჟუაზიული მეცნიერი". იქ, სადაც პარტიის წევრები ნაკლებად არიან კომპეტენტურნი, ან როდესაც ხედავენ, რომ მსმენელები უფრო ბევრს შეიძენენ სწავლულ სპეციალისტისაგან, ვიდრე რომელიმე დილეტანტისაგან, — დაუყოვნებლივ იწვევენ პროფესორებს კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, ზოგჯერ ისეთებსაც, რომლებიც არ თანაუგრძნობენ პარტიის შეხედულებათ. თვით დამფუძნებლებიც ლექციების კითხვის დროს ერიდებიან ვიწრო დოქტრინალურ ეფექტების მოხდენას მსმენელებზე და სცდილობენ სწავლა არ დაამყარონ ობიექტიურ წმინდა მეცნიერულ საფუძველზე. თავის თავად ცხადია, რომ ასე შეუძლიანთ იმოქმედონ იმათ, ვინც ღრმათ დარწმუნებული არიან თვისი მოძღვრების სამართლიანობაში და ცდილობენ მხოლოთ ჭეშმარიტების გამორკვევას, ლექციების პროგრამმა სავსებით არ არის ჯერ დამუშავებული, რადგანაც დიდი ხანი არ არის, რაც უნივერსიტეტი დაარსდა. — დღეს ეს პორგრამმა შესდგება ორი განყოფილებიდგან: 1) ძირითადი კურსები საზოგადო სწავლა-ცოდნის მისაღებათ და 2) სპეციალური, სადაც იკვლევენ მუშათა მოძრაობას და სოციალიზმს და სხვა.

წარსულ ოთხ სემესტრში პირველ განყოფილებაში წაუკითხავთ ლექციები შემდეგ მეცნერებიდან: 1) ბიოლოგია (გრუენბერგს) 2, ფსიხოლოგია (მონტეგიუს — პროფესორს კოლუმბიის უნივერსიტეტისა). 3) ძირითადი დებულებანი სოციოლოგიისა (პროფესორ გიდინტს) 4) ევოლიუცია (პროფესორ კრაპმტონს) 5) სტატისტიკა (არონოვიჩს) 6) პოლიტიკური ეკონომია და მრეწველობის ისტორია (ლის) 7 ისტორია (სანიალს) 8 სახელმწიფო უფლება შეერთებული შტატებისა. (ბერდს) 9) ეთიკა (გილმანს), 10 ლიტერატურა (ბერრს), და 11) პედაგოგიკა. ხოლო სპეციალურში: 1) შესავალი სოციალიზმისა (გენტს), 2) ისტორია სოციალიზმისა (ხილკუნტს), 3) სოციალისტური თეორიები და მეთოდები (იგივე), 4) ეკონომიური მატერიალიზმი (ლის), 5) მუშათა მოძრაოება ამერიკაში. (კ ნგს). მომავალ სემესტრისასთვის განუზრახავთ ეპიზოდიური კურსები შემდეგ თემებზე: 1) ანარქიზმი, 2) გადასახადები, 3) იმმიგრაცია. 4) ქალების მდგომარეობა ეკონომიური თვალსაზრისით და სხვ...

უნივერსიტეტის სულის ჩამდგმელნი გარდა იმისა, რომ ცდილობენ მოაწყონ სწავლება ჯეროვან საფუძველზე, ისინი იმავე დროს ბევრსა ზრუნავენ მის გარეგნულ მოწყობილებაზე. როგორც უნივერსიტეტის საბჭოს წევრები, ისე განსაკუთრებით სეკრეტარი ქოლბატონი ლედდენი იმ აზრისა არიან, რომ მომავალ სოციალისტურ წყობილებასთან ერთად დადგება ხელოვნებათა აყვავების ხანაც, რომ მაშინ განხორციელდება ქვეყნად არა მარტო ქონებრივი თანასწორობა, არამედ ყოველნაირი მშვენიერებაც. ასეთი შეხედულება გაჰყავთ როგორც თეორიაში (მომავალ სემესტრში განზრახული აქვთ შემოიღონ ცალკე კურსი: „სოციალიზმი და ხელოვნება"), ისე პრაქტიკაში. უნივერსიტეტის მოწყობილება შიგნით თვალს იტაცებს კომფორტითა და სილამაზით. არაფერს „კაზიონშჩინის" ხელი არ ატყვია. პირველი ოთახი შესავლიდან, კანცელიარია, საკმაოთ ფართო ოთახია, მოწყობილი მშვენიერი ავეჯით. იგი მორთულია სურათებით და ქანდაკებებით, ხან ყვილებითაც. მისი დიდრონი ფანჯრები გადაჰყურებს დაბურულ ბაღს. კანცელარიის გვერდზე მოთავსებულია პატრა, მაგრამ საგანგებოთ შედგენილი ბიბლიოთეკა, რომლის კარიც ღიაა როგორც სტუდენტებისათვის, ისე ყველა მსურველთათვის. მასაც ამშვენებს ბიუსტები და მარმარილოს ბუხარი. ასე მოწყობილი ბიბლიოთეკა, იმის გარდა, რომ ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას, იმავე დროს დასასვენებელი ადგილიცაა, სადაც შრომისაგან დაქანცულ მუშას რამდენიმე საათი შეუძლიან გაატაროს ჟურნალ გაზეთების კითხვაში. ზემო სართულში მოთავსებულია აუდიტორიები გაკაშკაშებული სინათლით. შიგ ყველაფერი გაკრიალებული და გაბრწყინვებულია.

ამ უნივერსიტეტის დაარსება სულ ახალი საქმეა, და ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენი ნაყოფი მოიტანა მან. ის კი ცხადია, რომ მსმენელების რიცხვი მუდამ მატულობს. აქ უნდა ვთქვათ ისიც, რომ პარტიის ლექტორები არ სჯერდებიან მარტო თავის უნივერსიტეტის აუდიტორიას. ისინი ყოველ წელს აწყობენ ეპიზოდიურ კურსებს სხვა უნივერსიტეტის სტუდენტობისათვის. ჯერ ჰბეჭდავენ განცხადებებს გაზეთებში, მერე ასეთსავე განცპადებას გამოაკრავენ იმ უნივერსიტეტში, რომელშიაც განზრახული აქვთ ლექციების გამართვა. იმ შემთხვევაში, თუ ჩაეწერება საკმაო რიცხვი მსურველთა, იხსნება ლექციების კითხვა, რასაც მოსდევს ხოლმე დისკუსიები (კამათი). ასეთი კურსები გაიმართა გარვერდის უნივერსიტეტთან და სხვაგან. ყველგან დიდი კმაყოფილნი და აღტაცებულნი რჩებოდენ მსმენელები. და თუ ზოგჯერ პარტიის ლექტორები თავიანთ უმთავრეს მიზანს ვერ აღწევენ შეიძინონ ახალი წევრები პარტიისათვის*), მათ სარგებლობა მაინც დიდი მოაქვთ. იგინი უფართოვებენ სტუდენტემს გონებრივ ჰორიზონტს, აცნობენ მათ ახალ სოციალურ მეცნიერების შეხედულებებს, ულვიძებენ კრიტიკულ აზროვნებას და უნერგავენ სიმპატიას მუშა ხალხისადმი.

ყველა ეს, რასაკვირველია, შოსახერხებელია მარტო ისეთ ქვეყანაში სადაც არსებობს სრული თავისუფლება აზრისა და სიტყვისა.

**მ. ნ.**

*) ამ შემთხვევაში ამერიკელი სტუდენტები ძალიან მძიმე ხალხია და ხშირათ უკიდურესი კონსერვატორებიც.

# შინაური ამბები.

—:—

✦ კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ 7 აპრილს განიხილა ასოთ-ამწყობის სოლომონ ვადაჭკორიას, მიხეილ ორმოცაძის და არჩილ რუხაძის საქმე. ხსენებული პირნი თფილისში დააპატიმრეს 1908 წლის დამდეგს და ბრალდებოდათ ს. დ. მუშათა პარტიის წევრობა. სასამართლომ მიუსაჯა: ვადაჭკორიას და ორმოცაძეს ოთხ-ოთხი წლის კატორღა თითეულს და რუხაძეს 2 წლის და 4 თვით კატორღა. საქმე ხალხის დაუსწრებლათ გაირჩა. ბრარდებულთ იცავდენ ნაფიცი ვექილი: ი. ბარათაშვილი და ი კაჩუხოვი.

✦ დეპუტატ კ. ჩხეიძეს შემდეგი დეპეშა მისვლია თფილისიდან: „პოლიციის დეპარტამენტს გაეგზავნა საქმე ტურუხანის მხარეში გადასახლების შესახებ ჩვენი ქმრების და ნათესავებისა. (ნ. გაბაშვილის, ლ. ებრაელიძის, ა. ვადაჭკორიას, გ. მენთეშაშვილის, ა. მაისურაძის, ს. პარკაძის, ნ. მაგერიძის, ნ. ხომერიკის, კ. ნინიძის, ფ. სართარიანის, ცაბაძის და ვ. წივწივაძის), რომელნიც დაატუსაღეს წარსული წლის 23 ივლისს და გენ.-გუბ. განკარგულებით 3 თვით ციხეში იქნენ დაპატიმრებულნი. გაჩხრეკის დროს მათთვის არაფერი საწინააღმდეგო არ უნახავთ. უმრავლესობა — ავათმყოფია. მათთვის გადასახლება სიკვდილით დასჯას უდრის. გთხოვთ იშუამდგომლოთ ტურუხანის მხარეში გადასახლება შეეცვალოთ საგენერალ-გუბერნატორიოდან გადასახლებათ“.

✦ „კასპის“ სიტყვით, ყოფილ დეპუტატს რამიშვილს ნამესტნიკისთვის“ უთხოვნია, ნება მომეცით, საზღვარ-გარედ წავიდეო. რამიშვილი ამ ჟამად რუსეთში ეტაპით მიჰყავთ.

✦ 8 აპრილს კავ. ნამესტნიკის თანაშემწის მიცკევიჩის თავმჯდომარეობით მოხდა კრება საუნივერსიტეტო კომიტეტისა. სხდომას დაესწრნენ, სხვათაშორის, ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი და სხვანი. კომიტეტმა განიხილა გაზეთებში უკვე დაბეჭდილი პროექტი უმაღლეს სასწავლებლისა, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ შედგენილი. კომიტეტმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანა პროექტში. კომიტეტმა სასურველად სცნო დაარსდეს ფიზიკო-მატემატიკური და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტები. თუ სახსარი არ აღმოჩნდა, ჯერ-ჯერობით დაარსდება იურიდიული ფაკულტეტი.

✦ ქ-ნ იავორსკაიასა და თავად-აზნაურობის შორის დადებული ხელშეკრულობა ქართული თეატრის შესახებ ქ-ნ იავორსკაიასავე თანახმობით გაუქმდა, მან უკვე მიიღო საიჯარო გირაო 5000 მან. და 10 აპრილს საზღვარ-გარეთ გაემგზავრა. შემოდგომაზე კი მისი წარმოდგენების სეზონი პეტერბურგში გაიხსნება. ამიტომ ქართული წარმოდგენების გასამართავათ თეატრი უფრო ხშირათ დაეთმობა ქართულ დასს, ვინმე დღეს. ჯერ-ჯერობით ქართული დასი გამართავს კვირაში ორ წარმოდგენას — ხუთშაბათობით (ბენეფისები) და კვირაობით (სახალხო წარმოდგენები დაკლებულ ფასებში).

# რუსეთის ცხოვრება

—:—

✦ მთავრობამ არ დაამტკიცა წესდება ახლათ განზრახულ საზოგადოებისა, რომელსაც მიზნათ უნდა ჰქონოდა იდეური ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და რომელსაც ჰთაობდენ ისეთი ცნობილი ლიბერალი მოღვაწენი და იურისტები, როგორიც არის ვ. დ. ნაბოკოვი და სხვანი. უარის მოტივაციაში ნათქვამია: „რადგან სიკვდილით დასჯა არის დადგენილება (устоновленіе) დაფუძნებული არსებულ კანონებზე; ხოლო ორგანიზაცია, რომელსაც თავის მოქმედების მიზნათ აქვლია ბრძოლა არსებულ კანონიერ დადგენილებათა წინააღმდეგ, — რა გზითაც უნდა ხორციელდებოდეს ეს ბრძოლა, — არ შეიძლება არ იყოს საშიში საზოგადოებრივ სიწყნარისა და სიმშვიდისათვის, და ამ ორგანიზაციის მიზანი — უკანონო“...

მოგეხსენებათ, არც ერთ კონსტიტუციონურ ქვეყანაში არ არის შესაძლებელი საქმის ასეთი თვალით გაზომვა.

✦ ამას წინათ თავის სამშობლო გუბერნიიდან გააძევეს ლევ ტოლსტოის ცნობილი მეგობარი ვ. ჩერტკოვი. ეს ბატონი ამის შესახებ აცხადებს: „მე მეტისმეტათ მაკვირვებს საბაბი გაძევებისა. შეიძლებოდა გავეძევებინეთ ჩემი რწმენისათვის. მაგრამ ოფიციალურ საბაბათ დასახელებულია შეუძლებლობა ჩემის გამოისობით დაეცვათ გუბერნიის სიწყნარე, მაშინ როდესაც მთელი ჩემი მოქმედება გუბერნიაში მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ ჩემის ზეგავლენით დაირღვა გლეხთა რამდენიმე რევოლიუციონური წრე“. მახლას!

✦ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით სატუსაღოთა მთავარ გამგეობის ცირკულიარით სატუსაღოების ექიმებს სასტიკათ ეკრძალებათ ვისმესთვის ცნობების გადაცემა ავათმყოფ ტუსაღთა მდგომარეობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილიდან დათხოვნით ემუქრებიან.

✦ პეტერბურგში ხოლერის დაწყებიდან ავად გამხდარა 10,316 კაცი. გარდაცვლილა 4006, მორჩენილა 6263 კაცი.

✦ დუმის უკანასკნელ სხდომაზე ს. დ. ფრაქციის მიერ შეტანილ იქნა შეკითხვა სიკვდილით დასასჯელთა წამების შესახებ. აგრეთვე შეტანილ იქნა 100 კაცის მიერ ხელმოწერილი წინადადება ბოლგარიისათვის დამოუკიდებლობის მილოცვის შესახებ, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია.

# უცხოეთი

—:—

## ოსმალეთი.

მკითხველებს ეცოდინებათ, რომ ოსმალეთის საქმეები აიწეწა. სპარსეთის შაჰის მაგალითით ისარგებლა აბდულ-ჰამიდმა და მოინდომა, მიცემული, ანუ ძალით მოპოვებული, კონსტიტუცია სისხლით შეეღება. ეს სურვილი რომ რამდენადმე შეისრულა, ამას ჰმოწმობს ახალგაზრდა ოსმალთა ზოგიერთ აფიცრებისა და ჯარის კაცთა ამოწყვეტა და ძმაზე ძმის ჰისევა, რაც უსაშინელეს დამარცხებას უქადის ოტომანის მბრძანებელს. აურიცხველი ლაშქარი ახალგაზრდა ოსმალთა იერიშით მიდის სტამბოლს, კარგს არას უქადის ჰამიდსა და იმის კამარილიას. მშვიდობიანად მოპოვებულ კონსტიტუციის დროშაზე მოცხებულს სისხლს სისხლითვე მოვწმენდთო,—გაიძახიან სიმართლისა და უფლებისათვის დაუღალავი მებრძოლნი და შეასრულებენ კიდეცა.

ვერაფერი წასაბაძი მაგალითი აიღო აბდულ-ჰამიდმა შაჰისაგან. ერთიცა და მეორეც, ლატაკნი ჭკუით და— რაც უმთავრესია—სულით, ძველებურის ხერხით ფონს ველარ გავლენ და ხალხისაგან ნაყვლეფ ფულს თვით ხალხსვე ველარ შესთავაზებენ ქრთამათა და სისხლის ჯილდოდ... გამოფხიზლებული და გონს მოსული მონა ჯაჭვიდან აწყვეტილ ლომსა ჰგავს და იგი ადვილად აღარ გაჰყოფს თავს მონობის უღელში. ოსმალეთის კამარილიამ დიდი გაიძვერობა გამოიჩინა კონსტიტუციონურ წეს-წყობილების დროს. რა კი შეჰხედა, რომ კუდს ველარსით გააქანებდა, ვითომ მომწიფებულ საკითხად იცნო ოსმალეთის თავისუფლება, მიანიჭა კიდეც ეს თავისუფლება, მაგრამ აგერ წელიწადზე მეტია შხამიან გველს შურისძიებისას თანდათანობით ზრდიდა თავის მოუსვენარ გულში; ჰშინჯავდა მაჯას კონსტიტუციონერთა ძლიერებისას და ამ მაჯის ცემა ისე უძლურათ მოეჩვენა თავის განუსაზღვრელ სურვილთანა და ყოვლის შემძლებლობასთან, რომ გულში ველარ შეიკავა საქვეყნო სისხლის მსმელი გველი და გარედ გამოანავარდა.

მაგრამ შესცდა. ხალხის მაჯა მართლაც სუსტადა სცემს ხოლმე მშვიდობიანობის დროს, ხოლო საკმაოა მცირეოდენი სუსხი, რომ მთელი ორგანიზმი გასაშმაგებელმა გენიამ აიტანოს და მაშინ კი ორში ერთი იქნება: ან სიკვდილი, ან სიცოცხლე!

აბდულ ჰამიდმა კონსტიტუციის წართმევა მოუნდომა ოსმალეთს, იმ ოსმალეთს, რომელიც ნებითა მაჰმადისათა მისს ხელშეუხებელ საკუთრებას შეადგენდა, მისის სურვილ-ნების უსიტყო მონას, მისის აღვირწახსნილ მადის დასაკმაყოფილებელ მსხვერპლს; რომელიც ათასის წლების განმავლობაში მძიმე და მყრალ უღლის ქვეშ საცოდავად ჰკვნესოდა და ხმა იმედისა არსიდან ესმოდა, ვიდრე თვით მისმა შვილებმა არ აღიმაღლდეს სამართლიანი ხმა და არ მოუპოვეს მას კონსტიტუცია.

განათლებულ და დაწინაურებული დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი გულის ფანცქალით ელოდებოდენ ოსმალეთის უკანასკნელ სულთ ამოფშვინვას, აღტაცებულნი შესცქეროდენ სიკვდილის სარეცელზე მდებარე სულთმობრძავ ლეშს ‍და უეჭველის იმედით აღფრთოვანებულნინი წილსა ჰყრილობდენ, ვის თავი ჰრგებოდა და ვის ფეხი ამ მომაკვდავისა.

ახალგაზრდა ოსმალთა გონივრულმა დიაგნოზმა და მალამომ გადაარჩინა ეს მომაკვდავი მხარზე, ზე ალადგინა იგი და მთელი ქვეყნიერობის სამაგალითოდ გაზხადა, მაგრამ შინაგანი მუწუკი გაიხრწნა, გადმოჰხეთქა შალალი და ხელახლა შთანთქმა მოუნდომა მთელს მხარეს.

ახალგაზრდა ოსმალთაც—მეტი რა გზა დარჩენოდათ უნდა ერთხმად აღეარებინათ, შორს ჩვენგან ეს საზიზღარი მუწუკი, დაე ძირიან-ფესვიანად ამოვაგდოთ, თორემ კიდევ გაიკეთებს სადმე ტოტსა და აღარ მოგვასვენებსო. და აკი ასეც ჰქნეს: სულთანის აბდულჰამიდის უფლებები შეზღუდულიაო—ერთხმად დაიძახეს.

დეპეშები ბევრ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემენ ამის შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი ჩვენი მკითხველების გასაცნობად.

ხმა დადის, სულთანი გაიქცაო. იმასაც ამბობენ, ფეტვა დაამზადეს, რომელშიც ნათქვამია, სულთანი ფიცის გატეხისათვის ტახტიდან იქმნა ჩამოგდებულიო. ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, მართალი არ არის ეს ხმებიო. თუ ახალი სულთანი გამეფდება, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ტახტზედ უსათუოდ რეშად-ეფენდი ავა, მაჰმედ მეხუთის სახელითაო.

ქალაქში ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა. რეაქციონერები და ახრარები გარბიან და იმალებიან.

ჩატალჯუში მყოფი სამხედრო აგენტები განცვიფრებულნი არიან იმ დისციპლინით, რომელიც კომიტეტის ჯარშია. ჯარი მიდის სტამბოლისაკენ. ფლოტი ჯერ ჯერობით გამოურკვეველ მდგომარეობაშია. მეზღვაურებთან მოლაპარაკება აქვთ. სცდილობენ, როგორმე თავიდან აიცდინონ სისხლის ღვრა.

კომიტეტის ჯარის უფროსმა გუზნი-ფაშამ პროკლამაცია გამოსცა. პროკლამაციაში ნათქვამია: სტამბოლში მიმავალ ჯარის დანიშნულება ის არის, რომ განამტკიცოს ოსმალეთში კონსტიტუცია, დაამტკიცოს, რომ არავითარი ძალა არა სდგას კონსტიტუციაზე მაღლა და უკანასკნელი გაკვეთილი მისცეს მოღალატეებს. მცხოვრებთა და ნეიტრალურ სალდათებს მფარველობას გავუწევთ; სასჯელს არ ასცდებიან მხოლოდ ისინი, ვინც აჯანყდნენ და ღალატი გასწიეს. ულემთა ნდობას შესაფერი პატივისცემით მოვეყრობით, მხოლოდ დავსჯით იმ ულემებს, რომელთაც ჯაშუშობა დაიწყეს და ამით შეურაცხჰყვეს სარწმუნოება და სჯული.

„რეიტერის სააგენტოს“ სტამბოლიდან ატყობინებენ: კონსულები იუწყებიან, რომ ადენის ვილაეტში მომხდარ არეულობის დროს 5,000 კაცი მოჰკლესო.

ამასთანავე იუწყებიან დეპეშები, რომ ახალგაზდა ოსმალთა ჯარის უფროსმა გუზნი-ფაშამ დეპეშა გაუგზავნა საგენერალო შტაბის უფროსს და მოსთხოვა სიკვდილით დაისაჯნენ ყველა მოღალატენი და ჯაშუშები.

ახალგაზრდა ოსმალთა ჯარი სტამბოლისაკენ მიდის.

ოსმალეთის გაზეთები, როგორც ახრარებისა, ისე რეაქციონერების ქება-დიდებით იხსენიებენ კომიტეტის ჯარს. ევროპიული გაზეთები სწერენ, რომ სულთანს გადააყენებენო. ოსმალები ირწმუნებიან, რომ მონასტირში სულთნად რეშადი გამოაცხადესო.

სტამბოლის ვალი ნაზიმ-ბეი და სტამბოლისავე განაპირა უბნების თვით-მმართველობათა თავმჯდომარენი და წევრები ჩატალჯუში წავიდენ. მათ კომიტეტის ჯარის უფროს განუცხადეს, სატახტო ქალაქი კომიტეტს უერთდებაო.

### სპარსეთი.

ამ დღეებში ქ. კაზვინის რამდენიმე ვერსის მოშორებით თვალსაჩინო შეტაკება მოხდა შახის ჯარებსა და რევოლიუციონებს შორის. რევოლიუციონერები გაიყვენ პატარა ჯგუფებათ და დაიჭირეს მაღლობი ადგილები. ბრძოლა დაიწყო დილით ადრე. რევოლუციონერებმა ძლიერი იერიშები მიიტანეს და შაჰის ჯარს სამი მხრიდან ალყა შემოარტყეს. რევოლიუციონერებს თავგანწირული იერიშები მიჰქონდათ, რომელსაც შაჰის ჯარებმა ვერ გაუძლეს და გაიქცენ. მათი მხრით მოკლულია 50 კაცი, ხოლო რევოლიუციონერ ებს მხრით — დაჭრილია რამდენიმე კაცი. („ზაკ.“)

პეტერბურგში თავრიზიდან იტყობინებიან, ხალხი ისე გაამწარა შაჰის ჯარებისგან ცარცვა-გლეჯამ და შიმშილობამ, რომ ქალი და კაცი, თვით ათის წლის ბავშვებიც კი იარაღს იხამენ შაჰის ჯართან საბრძოლველათაო.

შახსევანებმა დეპეშით შეატყობინეს ასტარის ენჯუმენს, მზათა ვართ ვიბრძოლოთ კონსტიტუციის მოსაპოვებლათაო.

თავრიზიდან იქაურ მთავარ კონსულისაგან ცნობები მიიღეს, რომ თავრიზის მცხოვრებნი, შიმშილისაგან სასოწარკვეთილებაში ჩაცვივნულნი, ადგილობრივ რევოლიუციონერების მეთაურობით აპირებენ სომხის უბნისა და იქ მდებარე რუსეთისა და ინგლისის საკონსულოების განადგურებას იმ მიზნით, რომ ამ უბანში პური იშოვონ. მოძრაობის მეთაურებს, როგორც ეტყობა, იმედი აქვთ, რომ ამ გზით და თუ საქმე გაჭირდა, ერთ-ერთის კონსულის მოკვლით, გამოიწვევენ რუსეთის ჩარევას სპარსეთის საქმეებში, რაც შეაგვიანეს თავრიზის აღებას შაჰის ჯარის მიერ და რევოლიუციონერებს დამალვას შეაძლებინებს. საქმეთა ასეთის მდგომარეობისა გამო რუსეთის მთავრობამ მიანდო თავის წარმომადგენელს თეირანში, გადაჭრით მოსთხოვონ შაჰს, რომ მან განკარგულება მოახდინოს და ნებართვა მიაცემინოს, რომ თავრიზში დაუყოვნებლივ შეიტანოს საკმაო საკვები სურსათი უცხოეთის საკონსულოებისა, დაწესებულებებისა და ქვეშევრდომებისათვის და აგრეთვე თავრიზის მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის. რუსეთის წარმომადგენელს მიწერილობა გაუგზავნეს, რომ მან გამოუცხადოს სპარსეთის მთავრობას, თუ ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ არ იქნება ასრულებული, რუსეთი იძულებული გახდება იმ წამსვე გაბედული ღონისძიება მიიღოს და სამხედრო ძალით გახსნას თავრიზის გზა იქ საკვებ სურსათის შესატანად და რუსეთის და უცხოეთის დაწესებულებათა და ქვეშევრდომთა დასაცველად.

რადგან ცნობა მიიღეს, რომ თავრიზში მშვიდობიანობა დამყარდა იმის გამო, რომ შაჰმა ექვსი დღით შეაჩერებინა სამხედრო მოქმედება და ალყა-შემორტყმულ ქალაქში სურსათის შეტანის ნება მისცა, კავკასიის ნამესტნიკს წინადადება მიეცა ახალ განკარგულებამდე სპარსეთის საზღვარზე გააჩეროს ის რაზმი, რომელიც თავრიზში გასაგზავნად იყო დანიშნული, მაგრამ მაინც ეს რაზმი მზად უნდა იყოს იმ შემთხვევისათვის, თუ შემდეგში კიდევ გართულდა და გამწვავდა საქმე. (პეტ. დ. სააგ.).

რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: შაჰმა განაცხადა, რომ ავადა ვარ და ვერ მივიღებ ინგლისისა და რუსეთის ელჩებსაო.

# უცხოეთის პრესა

—:—

„Times“ მეთაურ წერილში ეხება ოსმალეთის შინაგან საქმეებს და ამბობს, რომ უახლობელეს მომავალში ოსმალეთმა უნდა წამოაყენომ საკითხი შესახებ ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის რეორგანიზაციისა, და რომ ოსმალეთის პარლამენტი იძულებული გახდება გადასჭრას: აძლევს თუ არა ავტონომიას ყველა ევროპიულ და მრავალ აზიურ პროვინციებს? და ბოლოს „ტაიმსი“ აცხადებს, რომ ოსმალეთის ეროვნებათა მისრაფება ავტონომიისადმი სრულ თანაგრძნობას იპოვის ინგლისში, სადაც საზოგადოებრივი აზრი ავტონომიაში ჰხედავს ერთად-ერთ საშუალებას მშვიდობიანათ და უმტკივნეულოთ გადაჭრილ იქმნას ოსმალეთის პოლიტიკურ ცხოვრების ყველა რთული პრობლემები.

—

ლიბერალური „Daily News“-ის აზრით რუსეთის შესვლა სპარსეთის საზღვრებში, ადერბეჯიანის ოკუპაცია (დაჭერა) ოსმალეთის მხრით გამოიწვევს ჯარების გაგზავნას თავრიზისაკენ. ამიტომ ინგლისმა უნდა დაუშალოს რუსეთს სპარსეთის საქმეებში ჩარევაო. „საზოგადოთაო—ამბობს გაზეთი—ინგლისის რუსეთთან დამეგობრებისაგან თავისუფლების საქმეს არაფერი არ შეემატა, პირიქით, ოსმალეთთან დამეგობრება ხელს შეუწყობდა კონსტიტუციონურ მოძრაობას უახლობელეს აღმოსავლეთში და ამას კი მივყევართ აღმოსავლეთის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტისაკენაო“.

# წერილი ორენბურგის გუბერნიიდან.

—:—

კავკასიელების და კერძოთ ქართველების სახელი განთქმულია მთელს რუსეთში და როგორც მტერი, ისე

ე 208
1909/2



ბევრი თაყვანის მცემელიცა ჰყავს. ქართველებმა კერძოთ ორ. გუბერნიაშიაც „გაითქვეს სახელი“, მაგრამ, სამწუხაროთ, ისეთი საქმეებით, რაც მხოლოდ საშინელ ჩირქსა სცხებს ქართველობას. აქ ჩამოსულები თითქოს ცდილან დაეცათ და მიწასთან გაესწორებინათ უჯიათი ბრძოლით მოპოებული ჩვენი ავტორიტეტი. მთელი მათი მოქმედება ცარცვა-გლეჯასა, შანტაჟში და უზნეო ტრაბახში გამოიხატა. ამ მხრივ თავი ისახელა ილიკო წერეთელმა, დვალმა და სხვ. რომელთა ყაჩაღური „შაიკები“ ერთ დროს თავზარსა სცემდენ ადგილობრივ მკვიდრთ და მთელი რიგი „უგოლოვნურ“ დანაშაულობათა ჩაიდინეს, რისთვისაც დღეს ადგილობრივ ციხეში სხედან. იმ დროს, როცა დანარჩენი გადმოსახლებულები შიმშილის სიკვდილს ებრძოდენ, ეს ბატონები საროსკიპოებში ათასობითა ხარჯავდენ და ოცდახუთიანებში თამბაქოს ხვევდენ ან ხევდენ.

მართალია ასეთი ძლიერი ყაჩაღური ბრბოები ეხლა აღარ არსებობენ, მაგრამ სამაგიეროთ მრავალია შანტაჟისტური ჯგუფები, რომლებიც ზოგი შიგნით, მეორენი გარეთ-ხალხში მოქმედებენ. პირველი ჯურის შანტაჟისტები სარგებლობენ გამოუცდელ ახლათ მოსულებით: თავის ადრესზე აწერინებენ სამშობლოდან ფულსა და უფლანგავენ. უყიდიან ტანისამოსს, საცვლებს და სხვ. სამშობლოში მიმავლებს შუაგზამდე უღებენ სამგზავრო ბილეთებს, დანარჩენს კი თვითონ იჯიბავენ; საადრესო სტოლში ჩაწერისთვის, რაც 1—5 კ უჯდება, ახლათ მოსულებს ახდევინებენ 1—2 მან. და სხვ. და სხვ.

მეორენი უფრო გარეთ მოქმედებენ: აგროვებენ პოლიტიკურების სახელით შემოწირულებებს და ქეიფსა და ქალებში ხარჯავენ. მაგ. ამ დღეებში აღმოვაჩინეთ ჯგუფი, რომელიც მთელი ხუთი თვეა ასეთ შემოწირულებებს აგროვებდენ და ქეიფსა და ქალებში ხარჯავდენ იმ დროს, როცა პურის ვალსა და სახლის ქირას არ იხდიდენ.

არ შეიძლება, სხვათა შორის არ აღვნიშნოთ ერთი მოვლენაც. ეს ყალბი წარმოდგენაა რუს ქალების „თავისუფალ სიყვარულზე“, რის გავრცელებასაც ხელს უწყობენ აქაური ქუჩის დონჟუანების ლეგენდები, რასაც ხშირათ სერიოზულებიც შეჰყავს შეცდომაში, სანამ საქმის ნამდვილ მდგომარეობას გაიგებდენ.

ყველა ეს ხელს უწყობს ქართველებზე უკუღმართ შეხედულების დამკვიდრებას აქაურ მცხოვრებლებში და ბევრი შრომა და გადმოსახლებულთა სამაგალითო ცხოვრების ნიმუშებია საჭირო, რომ აღვადგინოთ ჩირქმოცხებული ქართველთა სახელი, მაგრამ, საუბედუროთ, სწორეთ ასეთ ხალხშია აქ ნაკლი და მთელი ცდა თითო ოროლა ამხანაგებისა მხოლოდ წვეთია ზღვაში. ორენ. გუბ. განსაკუთრებით უგოლოვნები იგზავნებიან და პოლიტიკ. შემთხვევით თუ მოხვდებიან, და ამნაირათ უმცირესობაში იმყოფებიან. სხვა ეროვნებათა შორის საქმე უკეთაა, თუმცა ყველგან უგოლოვნები სჭარბობენ, მაგრამ როცა სხვა ეროვნების გადმოსახლებულთანა გაქვს საქმე, იმ წამსვე ტყობულობ „პოლიტიკურია“ ის თუ „უგოლოვნი“, რადგან ის ამას არა მალავს. იქ ყველაფერი განსაზღვრულია დ საზოგადოებისთვისაც ადვილი გასარჩევია ქართველებში კი სულ სხვაა; აქ შენვე ვერ არკვევ სად იწყებიან „უგალოვნები“ და სად თავდებიან „პულიტიკურები“. მაგ ცნობილი ილ. წერეთელს თავი კაკი წერეთლის ძმათ მოჰქონდა. რასაკვირველია, აქ ყველა ისვრება მართალია ამ ბოლო დროს ქარველებშიაც ჩამოყალიბდენ ჯგუფები, მაგრამ მხოლოდ შიგნით, საზოგადოების თვალწინ კი ჯერ შორსაა.

მაგრამ ბეჯით ცდას ყველაფერი შეუძლია და ჩვენც იმედს არა ვკარგავთ. ჩვენ იძულებულნი ვართ ამ ბრძოლაში რაც შეიძლება ფართოთ გამოვიყენოთ როგორც ადგილობრივი, ისე სამშობლოს პრესაც, ურომლისოთაც არაფერი არ კეთდება, და ჩვენც ვადგებით ამ გზას.

**„ვალიკო“.**

# პროვინცია

—:—

**წერილი იმერეთიდან**

ყოველ სისაძაგლესთან ერთად ამ ბოლო დროს ფეხი მოიდგა ჩვენს საზოგადოებაში ყალბი ფულების გასაღების საქმემ. ამ უკანასკნელ ხანებში „ამღვრეულ წყალში“ თევზის მჭერავ ვაჟბატონებმა ყალბი ფულების გამასაღებელ ასპარეზათ სოფელი აირჩიეს. სოფელი, როგორც ნაკლებ შეგნებული ყალბ და ნამდვილ ფულების გამოცნობაში, იოლი მოსატყუილებელია. ეს სუსტი მხარე სოფლისა კარგათ იციან ჩვენი დროის სინდის. გარეცხილ რაინდებმა, და აი, სწორედ ეს არის მიზეზი მათი სოფლად მოკალათებისა. უკანასკნელ ხანებში სოფლად ცხოვრებამ, და სოფლელთა ცხოვრების დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ აუარებელი ყალბი ფულებია დაბანდებული სოფლად. სოფელს ვერ ვნახავთ იმერეთში, სადაც რამდენიმე მანეთის ყალბი ფული არ აღმოჩნდეს. ს. „ცხუნკურის“ ერთმა გლეხმა მითხრა: „ჩვენ სოფელში ორ ოჯახს ვერ ნახავთ ისეთს, სადაც შეტყუებული ყალბი ფული არ ჰქონდეთო!“ ჩვენს სასოფლო ბაზრებზედაც აუარებელი ყალბი ფული გამოდის. — პარასკევობით ხონში ათს მაინც ნახავთ თვალაცრემლილ ადამიანს — ყალბ ფულებ შეპარებულს. განსაკუთრებით გავრცელებულია ყალბი ხუთ მანეთიანი ქაღალდის და ოქროს; სამ მანეთიანი ქაღალდისა, და მანეთიანი ვერცხლისა. სოფლად ადვილათ ტყუვდებიან ფულის გამოცნობაში დედაკაცები და მოხუცებული გლეხები. საჭიროა სოფელზედ ყურადღების მიქცევა; დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა სოფლისა გაათკეცდება, თუ დაწყებული პროცესსი სოფლად ყალბი ფულების გასაღებისა არ მოისპო და სოფლელთა მოტყუილებას ბოლო არ მოეღო. საჭიროა „ვისგანაც ჯერ არს“, ანგარიში გაუწიოს ზემოაღნიშნულ სოფლის სამწუხარო მოვლენას. საჭიროა თვით სოფლელებმა თვალები ამოიფშვნიტონ და ყურები გამოჩხრიკონ; რაც გაასაღეს ყალბი ფულები ჩვენი დროის რაინდებმა სოფლად, ისიც საკმარისია, აწი მაინც ფრთხილად შეხვდენ მატყუარათა ოინებს.

**ილია ბახტაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლევ. დადიშკელიანი.**

ელექტრო-ტიპოგრაფია **მ. დ. ქიქნაძისა**, ტფილისი. ელისაბედის ქუჩა № 17.